# ცისკარი.

**1864**

მარტი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


I — მეფის ირაკლის დრო. ტრაღედია ოთხ მოქმედებათ. . . , თ. ალ. ვახტ. ორბელიანისა.

II — კავკაზის პატიმარი (პუშკინით) თ. სოლ. გურგენიძისა.

( * * * ). . . . . . . . კ—სა.

III — გრანოვსკის მეორე საუბარი. . თ. რევ. ერისთავისა.

IV — მოძღვრება, დიდ აღების ღამის კვირას თქმული. . . . . გაბრიელ ეპისკოპოზისა.

— სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ბატონის-შვილის ირაკლის პირველი დრო.

ტრაგედია ოთხს მოქმედებად.

თხზ. ალექსანდრე ვახტ. ძ. ჯ. ორბელი-
ანისა.

---

1864

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# მომქმედნი პირნი:

მეფე თეიმურაზ საქართველოსი, თავის ამალით

დედოფალი თამარ, მეფის მეუღლე, თავის ბანოვნებით

ანა და ქეთევან ამათი ქალები.

ირაკლი, მეფის და დედოფლის ძე, თავის ამალით

ცხვრების მწყემსი,

გივი ირაკლის გამზრდელი

რევაზ საქართველოს თავადი.

სიდონია, ამისი ცოლი.

ომან, კიდევ საქართველოს თავადი.

ბარბარე, ამისი ცოლი.

სარიდან, უმაწვილი კაცი, ომანის და ბარბარეს შვილი

მელანია, სარიდანის ცოლი, რევაზ და სიდონიას ქალი.

ვარდუა, მელანიას თანაშეზრდილი მოახლე.

ზაქარია, მოძღვარი მეფისა და სახლეულებისა.

ფშაველების დედაკაცები თავის წვრილის შვილებითა.

მთის ჯარები.

ბესარიონ, დაკუტავებული საქართველოს თავადი უმაწვილი კაცი.

ამის ცოლი ბებე და ამათი პატარა შვილი ბებო. (გუდიანი კაცი) ანუ ამათი უმა იოსება ცოლით.

გმირისული, ბესარიონის გამზრდელი.

ასლან, კიდევ საქართველოს თავადი და ამასთან ოცდა ცხრა თავადაზნაურნი.

იოანა, ბერი ალავერდისა.

ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები.

ალავერდელი, ალავერდის მღუდელ მთავარი.

შაოსანი ქალები.

მგლოვარე საკინძ ჩამოხსნილი ქართველები.

ბაზაზი.

მეწვრიმალე.

მხილე (ბაყალი)

მპარსაკი (დალაქი)

დაფარულად ვინმეები.

თელავის კაცნი და დედაკაცნი

გრიგოლ თამარ დედოფლის მოსამსახურე.

ორი მესაფლავის მთხრელები.

ოთხი მოსამსახურე უმაწვილი ბიჭები, თავადის რევაზის გაზდილები.

# წინა სიტყუაობა.

ეს ამბავი ბატონიშვილის ირაკლის დროისა, იმიტომ ამოვარჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდება ეს ტრაღედია, დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია იმტოლა ყმაწვილისაგან სხჳა მაგალითი არ იყოს არსად ქჳეყანაზედ? წარმოიდგინეთ. ქართლი და სომხითი ოსმალთ ეჭირათ, დიახ მაგარ ბორკილს ქჳეშა, ქიზიყი და გაღმა მხარი ეგრეთვე ოსმალ-ლეკთა, რომელნიცა კიდეც გაოსმალდნენ გლეხნი, გარდა თავად აზნაურებისა, და თელავის მხრის მცხოვრებნი ხომ, შიშით შეძრწუნებულნი, სიმაგრებში დაიხიზნენ სულერთიან. აღრიდგანვე წუნარ წუნარად დასუსტებული და ძალა მოღეჲული ერთიანი საქართველო, ჯერ რავდენსამე ნაწილად განყოფვით და მასუკან მძვინვარეს მტერებისაგან, ახლა დასაღუპავ კლდეში ჩაიგდეს და სრულიად განიავებას უპირებდნენ ძირით, ვაებაში ჩავარდნილსა საქართჳელოს, მხოლოდ ნაცარში დამალულსავით, ერთი ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ იყო დარჩომილი, ეს იყო ფშავის სიმაგრეებში დახიზნული მეფე თეიმურაზ მეორე, მაგრამ ვილა იფიქრებდა მისთჳს, ვილას ექნებოდა იმისი იმედი, რომელიცა შეშინებულს

თაგჳსავითა სოროს ემებდა, თავი დაეხიზნა სადმე, საქართეჳჱლოზე მოსეულის უანგარიშოს მტრებისაგან. აი ამისთანა დროში, ის თხუთმეტის წლის ბიჭი, ბატონიშჳლი ირაკლი, ფშავის სიმაგრიდამ გადმოვიდა; პირველად ალავერდს მოვიდა და იქიდგან დაიწყო საქართველოს გამოხსნა, აუარებელის მტრებისაგან, ამ დროებსა ნადირშაც მოესწრა, დაურტაშზე ოსმალოს დიდი ჯარი დაამარცხა და საქართჳჱლოს გარემოება შეიცვალა. თუმცა შეიცვალა, მაგრამ ისტორიით ვიცით, ისეც გაგონილი ამბები, რომ რა არ გამოსცადა მაშინ საქართჳჱლომ? რა საშინელება არ იყო დაცემული ირაკლის დროს საქართჳჱლოზე? ამის მეტი სხჳა კარგი არა იყორა, არაფერი, რომ ნახევარი საქართჳჱლო გაოხრდა მტრებისაგან, ბევრის ქართჳჱლების სისხლის ღჳრითა, ანუ ტყვეთ წაყვანილობითა. მარამ მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ვერაოდეს ვერ გადარივეს ქართჳჱლების გული იმდენმა უანგარიშოთა მტერთა და ვერც მამული მოსტაცეს იმათ!

მთელი საქართჳჱლოს ხალხი მდევრად გადაიქცა: მეფე, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი სულ მდევარში იყვნენ უნამეტნავესი დროები. ყოველს ცისმარეს დღესა და ღამესა ამის მეტი ამბავი აღარა იყორა მთელს საქართჳჱლოში, რომ ხან აქ და ხან იქ დაიძახებდნენ: მდევარიო. ამ სოფელს მტერი დაეცა და მდევარი მიეშურებაო.(*) აქედგან

---

(*) თითქმის ყოველს სოფელს თავთავისი ციხეები ჰქონდათ, თუ ციხე არა კოშკები ანუ კოშკი, და თუ

ტყჳე წაიყვანეს და მდევარი დაედევნაო; აქა და აქ მოუკლავთ და მდევარსაც მოუსწრიაო. (კაცისა, დედაკაცისა და ყმაწჳლის გაკითხვა აღარ იყო მტრისაგან, ვისაცკი მოასწრობდნენ, ზოგს ხოცდნენ და ზოგს ტყჳეთ წაიყჳანდნენ.)ამა და ამ ადგილს დიდს მტრის ჯარსა გაუვლია და მეფე თავის ამალით დასდევნებიაო, იქით ხეობაში მტრის ჯარში შეჴდომია და ჩჳენს ჯარსაც იმათთჳს გზები შეუკრამსო. ამა და ამ წყალის პირზე ჯარი ჩამამჴტარა მტრისა და ჩჳენი ჯარიც იმათზე გამოსულაო. იქით ზევით მთაში დიდი მტერი ამოსულა და მეფესაც თავის ჯარით იმ მთის ყელები

---

ესენიც არა, უთუოთ ჯიხურები მაინც, სადაც ხიზნით დაიხიზნებოდნენ და იქიდგან მტერს ეომებოდნენ, მინამ მდევარი მოეშველებოდა. დიდი ცხადი მტრის ჯარი, იმდენს ვნებას ვერ აძლევდა ქართჳელებსა, როგორათაც ქურდი მტერი. თუმცა ძალიან ფთხილად იყვნენ ქართჳელები და ყოველს სოფელს, სოფლების გარშემო ყარაულები ჰყოლიათ დაყენებული, მაგრამ ქურდსა რა გაუმაგრდება, ნამეტნავად იმათ, ვინცა ჩჳენი შემოსასვლელი და გასასვლელი, ყოველი ადგილები დაწვრილებით კარგათ იცოდნენ, ღრმა ტყეში იყვნენ ხოლმე დამალულნი და იქ ჰქონდათ ბინა თურმე და იქიდგან ჩუმად სცემდნენ ყოველს სოფლებს, ასე რომ ყარაულებსაც ვეღარა გაეგოთრა იმათი ამბავი, საიდგან გამოდიოდნენ სოფლების დასაკვრელად. ეს მტერი უფრო ღამე მოდიოდა.

დაუჭერიათ და აქ მახლობლად ტყეში დიდი ჯარი იყუ-რება დრო იპოვნონ დაგვეცნენო, მაგრამ მეფეს ირაკ-ლის ისინი ველარსად წაუვლენო. რაღა გავაგრძელოთ, მთელს საქართჳელოზე მიდიოდ-მოდიოდა მტერი და ჰქელავდნენ გაუკითხავად რაც შეეძლოთ, ჭარბელაქანიდ-გან ახალციხემდისინ და ახალ ციხიდგან ჭარბელაქნამ-დისინ, სადაც ამ ორს ქჳყანაში იყვნენ ჩაწოლილნი, ქართველთ მტერი დიახ ბევრი . ამ ორს ბუდეს შუა ისრისებოდა საქართჳელო იმათთაგან, რაზედაც რო-გორც ხიდზედ გადიოდნენ და გამოდიოდნენ, გაერთე-ბული ლეკ ოსმალო ქართჳელების დასანთმელად (*) არც სპარსებმა უთავაზეს; ისინი ხომ, რაზმ-რაზმებით მოდიოდნენ. ერთს მუჭას ქართჳელებზედ უსირცხვილოდ და სხჳანი . . . თითქმის მთელს საქართჳელოს ხალხსა გატენილს თოფებზე ქმინათ. ახალი მდევრიდგან მოსუ-ლი ქართჳელი, ხიზანს რომ გჳრდით წამოუწჳბოდა და ტკბილად ჩაიძინებდა, ამ დროს დაიძახებდნენ: მდე-ვარიო. ეს დაღალული დაწყვეტილი კაცი გაოგნებული წამოვარდებოდა და ცოლი გატენილსა თოფსა კელში აძლევდა ამ სიტყვით: კაცო! რას გაოგნებული ხარ, კიდევ მდევარს იძახიან, აჰა თოფი! გონებაზე მოსული ქართ-ჳელი თჳალებს მოიფშვნეტდა და მდევარში დაჩჳეული დამშჳდებით ეტყოდა: კიდევ მდევარი, ამ ერთს კჳრაში შჳდჯერ ყოფილვარ მდევრათ და ესეც მერვე იქნებაო.

(*) თავის დროზედ აღვწერ, საიდგან როგორ მოდი-ოდნენ გაერთებული ლეკ ოსმალო.

დედაკაცის პასუხი: უსამართლოს მტრისაგან, უსამართლოთ რომ იღუპება ჩუენი მამული, მაშ რასა იქ არ წახუალ? ერთი მაგალითი ხომ არ არის, ეს,ასე იყო და ამ გუარი მოუსუენებელი ცხოვრება ჰქონიათ ჩუენთა მამა-პაპათა.

ესენი სულ შეიძლება სიტყვით ითქუას და უცხო ყურმაც განსუენებულის გულით გაიგონოს, მაგრამ ის ანბები, ის ქართუელების სისხლი, ანუ ტყვევნა მამულისათჳს, არის ჩუენი, და ჩუენი შჳლის შჳლების დაუვიწყარი სახსოვარი!

მინამ მეფე ირაკლი მოკუდებოდა, სამოცდა სამი წელიწადი ოხრდებოდნენ, და წყდებოდნენ ქართველები, მარამ იმათ მტრებსაც კეთილი არ მოსდიოდათ, ისინიც დასდასობით იღუპებოდნენ ქართველების კელით, თუმცა იღუპებოდნენ, მაგრამ იმ უანგარიშოთა, ცოტა ქართველები რას უჩამდნენ?—ბალახი მოითიბა, მოვიდა უფრო ბევრი... ეს სისხლი და ოხრება ქართველებისა ეს იყო: ან ამოვწყდეთ სულ ერთიან, ან არა და ჩუენი თავისუფლება დავიმკჳდროთო. აი მეფის ირაკლის მეორეს დრო საქართუელოში!..

გასაშტერებელია! იმდენმა გარს შემოხვეულთა ქართველების მტრებმა, როგორ ძირიანათ არ ამოაგდეს, ცოტა ქართველებმა საქართუელოდგან, ადრიდგანვე იმ საშინელის მტრებისაგან დარჩომილი? საქმით ჰსჩანს, რომ უწინდელი ქართუელი ყოფილა მართლად მაგარი ქართველი! ამისთჳს მეც ვეცადე რაოდენ ჩემმა სუსტმა კალამმა შეიძლო, რომ მაშინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა, თუ

დრო,ამ ტრაგედიაში გამამეხატა,ასე არა დამიწერია რა აქა, მეფის ირაკლის დროის საქმეებთან საოცარი იყოს, გარდა ერთისა,უკანასკნელი რევაზის მდგომარეობა.უთქჳამთ ისე არაკისავით,მითამ საქართველოში მომხდარ იყოს ოდესმე ის შემთხვეულება, ერთის სიტყჳთ,მაშინდელთა მეფის ირაკლის დროის ქართველობას ეკადრებათ მამულის მოწამეობის გვირგვინი!

# ტ რ ა ღ ე დ ი ა.

## ბატონი შვილის ირაკლის პირველი დრო.

### ა ნ უ

### თავდადება ქართველებისა.

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ფშავლების მთები, ერთს კლდის ძირში პატარა ვაკე ადგილია, სადაც დილა ადრიან მეფე თეიმურაზ მერე მოვა და მწუხარებით მიიხედ-მოიხედავს).

მეფე თეიმურაზ. ამ მოლაჟვარდულს დილაზე რავდენი ხარობს, ამ დაწმენდილს დილაზე?—რავდენი განსცხრებიან შენ მშჳენიერო დილაო, შენის კარგის ჰაერით?.. აგერ, რავდენიმე ფარა ცხვარი გამორეკეს, სულერთიან თოვლისავითა თეთრად ნათელი; დღეს დილის გათენების ცივგრილისაგან ცვარით ნამულზე, იმის წინწკლითა მოციალეს, იმ ყვავილებით შერეულსა მწვანეზე და იმ მოხდენილს მაღალს მთაზედ, რა გემოვნებით, რა ლამაზათ მოიძოვენ, ის უმანკო პირუტყვები, იმ საუცხოვოს მოლსა, საუკეთესოს ჰაერით გაბიბინებულსა, ყოველი სიძჳრფასე ამათა სულ არაფერი: შენთან შენ მიმობნეულო არვედო, შენს დედამიწის მდელოზედ დაშვენებულო, მე-

ტად კარგო. შეგერგებათ თქუენ არველნო, თქუენის ქუეყნის გემოვნება, ეგე თქუენი გამომზრდელი. სატკბუ-ნარიც ეგევე თქუენი ახლა შენკენ შენ ჩუენო მამულო! ეს სატრფიალო დილა შენ შეგემკობა, გეალერსება, შენ ჩუენს მამულს გაფურჩქუნილსა, აწ აფუტკნილს მტერთაგანა: გულ-გაშლილითა, გულაღორძინებითა და გულმდიდრად, სამკაუ-ლი მის ზეცისა!—აგერ მზეც ამოვიდა, იმ დილის მზე აგერ იმ დიდს მთას იქით ზევიდგან. მზემ მოიტანა მადლი ზეცისა და მადლი ღუთისა. ზენარო მზეო! აქ მე რაღა? განა მწუხარება ადრტკინებული, გულმტკივნე-ული საჩივარი ღუთის წინაშე? ხედავ მზეო? ეხლა ხომ შენის თუალით უყურებ საქართველოს, რა ზარია დაცე-მული იმ ჩუენს მშობელს მამულზედ?—აღმოსავლეთი-დგან მტერი ებრძვის, დასავლეთიდგან მტერი, სამხრეთი-იდგან მტერი, ჩრდილოეთიდგან მტერი, მტერი, მტერი! აივსო მტერითა საქართველო, უნდათ ჩუენი მცირედი საქართუელო წარიტაცონ, არ ვიცი რომელს ერთს უნდა გახუდეს, რომელს ერთს? ამის გამო აღელვებულს უკია-ნეს ზღვასავითა შემოხვევია, ვით მცირე ხომალდს, აუ-არებელი მტერი საქართველოს და სწეწენ ცოტა ქართუ-ველებსა. (ამასთან ხელ გაშვერობილი დაიძახებს): რა სა-შინელს უბედურებაში ჩავარდნილი ჩუენი საქართუელო! დაიფარე შენის ძლიერის ხელით ღმერთო! ოჴ! სოფე-ლო ცრუო. შესწუხე კაცი შესწუხე, როდემდისინ? (ამ დროს ზევით ცხვრებთან ერთი მწყემსი მოვა, გძელ კომბლიანი, კომბალზე დაებჯინება, მთის მოსავალზე ხელს მიიდებს და იტყვის )

მთიული მწყემსი. ჩუენო გამომზრდელო, თქუენ მაინც ნუ უღალატებთ საქართველოს, კარგი მოსავალი მოდი რომ მშიერი მაინც არ ამოჰხუთოთ უკანასკნელი სული ბარის ქართველებსა.

მეფე. გესმის ყურო? იქ ბარში ბარის ქართველი კუდება ტანჯვით, აქ მთაში უკუნესის გული უპირს ქარ-თველს მთისასა? ჩუენ რა გუმართებს ამის შემდგომ?

მთიული. (ცხვრებისაკენ დიდ გძელს კომბალს მოიქ-ნევს) გრრი ჭკი, ცხვრებო აქეთ მოდით! შენსა ერთსა კრავსა ნადირი მოიტაცებს, სხუა ორი ფარა მაინც რჩება უვნებელი. მარამ აბა ახლა იქ ჩუენს ძმებსა ბარის ქუეყ-ანაში, უდიდესი ჯვარი რომ გადასწოლია და თავის კბილ-ებში ღლარჭნის იმათ კევსავითა; მოიწონებ ამას ღმერ-თო! გრრი ჭკი, აქეთ ცხვრებო! იქ მთას იქით წყალი მოსვით ცივი და მეც დავეწაფო. ნაწილები გამიგრილდეს, იწვის იმ ჩემი ძმებისათჳს. (პირ იქით გადარეკს და თჳთონაც მთის თავზე დადგება, ჴელი ზეცისაკენ მიღე-ბული.) ეს კარგი არ არის შენის სახელისათჳს ღმერთო! (და თჳთონაც გარდავა.)

მეფე. მოდი ნუ ადუღდები გულო? მოდი მოითმინე გულო? გამწარებულო, გამწარებულო მწუხარებავ, ვაი ჩემი ბრალი! (საცოდავათ ატირდება და თვალებზე ჴელე-ბს მიიფარებს. ამ დროს თამარ დედოფალი მეფე თეი-მურაზის მეუღლე და ამათი შვილი ირაკლი მოვლენ, თა-მარ დედოფალი ტირილით)

დედოფალი. ჩემო პატრონო, ჩემო ჴელმწიფევ! რა არის ამდენი შენი მწუხარება, ამდენი შენი ვალალება მამუ-

ლისა?

მეფე თეიმურაზ. თამარო შენა ხარ?მოდი ჩემო თამარო, სანუგეშო სიტყვა მითხარ, ეგება დაჩაგრულმა გულმა განიხაროს მცირედ მაინც, მაგრამ შენს უკან რომ ვიღაცა დგას, ვინ არის ეგე?

დედოფალი თამარ. ჩვენი ირაკლი, ჩვენი უსაყვარელესი შვლი გახლავსთ.

მეფე თეიმურაზ. ირაკლი შვლო. მოდი შენს გაზრდას ჩემს საიმედოს პირზედ გაკოცო, რათ იმალები შე გაუბედაო, ირაკლი. (ხელის დაჭერით, კოცნით მიიყვანს თავისთან) შენმა გაზდამ ირაკლი, გაუბედაობა აღარ გშვენის; ახლა თხუთმეტის წლის ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცურად უნდა მოიქცე ამას იქით. (ხელიდგან აღარ გაუშვებს, მას უკან დედოფლისაკენ.) ასე ჩემო თამარო, საქართველოსათჳს ჰკვდება გული სრულად

დედოფალი ჩემო სიცოცხლეო, ჩვენი ღვთის მშობელი თავის წილხვდომილს მამულს აგრე რიგად არ გასწირავს, სრულად დაიღუპოს ეს რაცაა მოვლენილი ჩვენზე, ჩვენი ცოდვის გამოა, მოვინანოთ.

მეფე რასაკჳრველია, იმისი იმედი მაქვს, მაგრამ არ ვიცი საიდგან რა მოგვევლინა, რომ ყოვლის ცოდვით შევიბღალენით ქართველები, რომლის გამო ყოველი ჩვენი სიმხნე და ვაჟკაცობა სრულად დაიკარგა. აბა რა ვქნათ ყოვლის ფრითა ღონე მიღებულთა, ყოვლის ფრითა ღვთის შემცოდეთა?

დედოფალი კაცისაგან კაცი ხდება, ზეცისაგან კაცი კეთდება, კიდევ ვიტყვი, მაშინ, როდესაც რომ თავის

ცოდვას მოინანებს. ამის განსაკურნად სამკურნალოს ვი-
ტყვი ცოტას: კაცის გული სარკეა კაცისათჳს, ჩაიხედოს თავისს გულში, თუ ყოველი არ დაინახოს რაც ხვანჯია იმაში? ადჳლია ის ხვანჯი ამოიღოს და გასტყორცნოს შორსა,თუ მაშინვე არ შემუსროს თავის ცოდვა კაცმა,ვინც ამას ძნელად მიიღებს? სჳნიდისით მკუდარი. ვინც არ იყურებს თავის გულის სარკეში და ვერას ხედავს, ანუ არ უნდა დაინახოს თჳსი ხასიათის ნაკლულებს, ის იქნება გარეგანი ველური.

მეფე. გარეგანი ველური და დაწყევლილიც.

დედოფალი. ჩემო თვალის სინათლევ მეფევ მაშ წამობძანდით ყავა მიირთვით, დრო არის (ჴელს დაუჭერს, მეფე თეიმურაზ დაღონებული გაჰყვება, მაგრამ ირაკლი კი იქ დარჩება. ირაკლი ერთს ბედის ქვაზე ჩამოჯდება ამ სიტყჳთ.)

ბატონის შჳლი ირაკლი. რა გონიერი დედაკაცია დედა ჩემი, ანუ კეთილი სული, მართლა რომ მეფის ვახტანგის ქალობა ეტყობა, იმ ბრძნის კაცისა, მაგრამ იმ მამა ჩემმა მეფემ რა მითხრა, ის სიტყჳა: ახლა თხუთმეტის წლის ვაჟკაცი ხარ შენაო. ამისმეტი არ უთქომ ეს სიტყჳა ჩემთჳს, ეს სიტყჳა გულზედ დამაჩნდა ძლიერად! ჰოო.. ვაჟკაცო თხუთმეტის წლისაო, სხჳა ვაჟკაცობა სადღაა? განა ხმალი უნდა ვიტვირთო ახლა გალესილი, დაშირული კარგათ? მასუკან საქართველოს მტერთა ვინ რა უნდა უყოს? იმ განძვინებულთა მტერთა? (ცოტა დაფიქრების შემდეგ) განა ბედო ჩემს ცდასთანა, ჩემის ცდისა შენც მონაწილე იქნები და ჩემი კარგი მე-

მწე? ვნახოთ ღმერთი რას ინებებს. (პატარა ხანს დაფი-ქრდება და მასუკან იტყჳს.) დიახ რასაკჳრველია—ახლაკი ვიცი—მამაჩემს მეფეს უნდა ვთხოვო; სათხოვარი სხუა იქნება და საქმეკი სხუა შეუდგება. ასე სჯობია. (ამ დროს ორნი ამისნი დანი, ქეთევან და ანა შემოსცვი-ვიან და გადახვევით ეტყჳან)

ირაკლის დები. საყვარელო, გულის სატრფიალო ძმაო ირაკლი, ჩუენი მშობლები გთხოვენ მოდი ყავა დალიეო. (კელს დაუჭერენ და გაარჩენინებენ. ისინი რომ გავლენ, ერთი შუახნიანი ჭაღარა წვერიანი შემოვა; ეს არის ბა-ტონის შჳლის ირაკლის გამზრდელი გივი და იტყჳს.)

გივი. იმ ჩემმა გაზდილმა რაც წარმოთქუა, სულ გა-ვიგონე; აგერ იმ კლდესთან ვიდექი მოფარებით, სადაც ისმოდა იმისი ლაპარაკი დიახ კარგათ.—მართალია, ის უკანასკნელი სიტყუები დაფარულის აზრით წარმოთქუა, მაგრამ ვიცი რაც იქნება—ჩემი გაზდილი,—ძუელი ქა-რთუელის გაზდილი ირაკლი? ბევრჯერ ამ დიდს მაღალს მთებზედ რომ წავიყუანდი, ამისთანა ლაპარაკს არ მო-გვკლებდი ხოლმე:—ჩემო გაზდილო ირაკლი, ყოველს საქმეს თავისი ტჳრთი აქუს, თავისი წონა; ხედამ ირა-კლი, როგორ წონაში ჩავარდნილი ჩუენი საქართუელო ეხლა, (კელს მიიღებს საქართუელოზე), რა სასწორზედ დგას ამ მინუტში? შეიძლება ოთხსა ლიტრა ხორცსა პატარა ქჳს აზრა ეთანასწორებოდეს აწონაში? რასაკჳრ-ველია არა, მაშ თუ არა, იმ პატარა აზრას მძიმე ფო-ლადი გვერდით რომ დაუდოთ, იმ ოთხს ლიტრას ხორ-ბალს ადვილათ დასძლევს განა? ისე კაცის გულია. თუ

თქჳენ, ირაკლი, ისეთი გული გექნებათ შენ და მამულის ქართჳელებს იმ ფოლადისავით, იცოდეთ იმ საშინელსა მტერსა ადვილად შემუსრავთ და საჩქაროთ გამოიხსნით საქართჳელოს. პატარა ირაკლი სულ ამ გჳარის ლაპარაკით გამიზდია, ამ გვარის ჩაგონებით, მაშ დრო არის ახლა საქმესაც შეუდგეს. (ამასთან ირაკლი დაბრუნდება იმავ ადგილს და შემოსძახებს.)

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გიო, რას ლაპარაკობ აგრე გულმოდგინედ?

გივი ჩემთჳს რაღასაც, რომელიც ბევრჯერ მითქომს შენთჳს. ირაკლი ყავა მიირთჳი?

ირაკლი. დიახ, გიახელ.

გივი. გემრიელათ, ტკბილათ, მიირთჳი?

ირაკლი არვიცი ყავა კარგი იყო, შაქარი ბევრი ეყარა ფინჯანში, მაგრამ უგემურათ გსვამდი და მწარეთ მეჩვენებოდა

გივი. განა, დედოფალმა კარგი თეთრის პურით დაგასლევინა?

ირაკლი. არა, გემრიელი ნაზუქი მამცა, ამით დალიეო, რა ბძანებაა ისიც, ისე ყელში დამრჩა ის ნაზუქი, რომ გემოთ არ მინახავს.

გივი. გეტყობა წუხელის კარგის გახშმით, კარგათ გამაძღარხარ.

ირაკლი. საჭიროების გამო გჭამე, თორემ არც ის მიამა.

გივი. მაშ წუხელის კარგის განსვენებით დაიძინებდი?

ირაკლი. სამი საათი არა მქონდა ძილი, დანარჩენი

ჟამები ვიტანჯებოდი.

გივი. იტანჯებოდი? მიზეზი, ჩემო ირაკლი?

ირაკლი. საქართჳელოს და ქართველების უბედურება მტანჯავდა და გვალადცა ვიტანჯები ჩემო მოჭირნახულე გივო.

გივი. აგრე უნდა, იტანჯე, იტანჯე ირაკლი, რომ ღმერთმა შენის ტანჯვისათჳს, მამული დაუბრუნოს ქართველებსა. შენ უნდა ქართველების მსხჳერპლი იყო და ქართველებს შესწირო მოწამედ. შენი მსხვერპლი სისხლი, იცოდე, ქართველების ძეგლი იქნები, დაუვიწყარი საუკუნო! შენ ერთი შეეწირები შენს მამულსა; სხჳა ათასობითსა ქართველებსა, ცოლშვილებით შეჭირვებულთა გამოიხსნი და განათავისუფლებ. მამილოცავს ეს ბედნიერება შენთჳს, მე შენს გამზდელს გივსა, კარგო ირაკლი. ღმერთოდ!რა საიდუმლო გველმა გადაიარა მართალს ქართჳელებზე, რომელნიც დაწამლულსავით შევიქენით, გარეტებული ვეხეთქებით აქა იქა, არ ვიცით რას გშვრებით. გაშტერებული ვარ! ამისთანა უბედური დრო არას დროს არ დამართებია საქართჳელოს; ამისთანა სამგლოვარო და სატირელი დრო! გარდა გარეშე მტრებისა ძმა ძმაზე აღმდგარვართ, მამა შჳლზედ, შჳლი მამაზედ, ცოლი ქმარზედ, ქმარი ცოლზედ, სადაც განყოფილება, განწვალვა და დაუნდობლობა დიდი არის ქართველებში, ასე რომ ძაღლი პატრონს ველარ იცნობს რიგიანათ, ამ წუწკს დროში. ამისგამო თემი თემსა სდევს, ხეობა ხეობას, მთიელები მთიელებს და მთელი საქართჳელო ამ ვაებაში ჩაღუპულა დასანთქმელად. ამ განწირულების

დროს, თუ შემთხვევა იქნება ოდესმე, მაინც არ დაივიწყებენ თავის მამულს ქართველები; დასდასობით გამოვლენ შეუპოვრად, გარეშე მტრებსა ხმალს დასცემენ თავისის ძლიერის მკლავებითა და კიდეც გარეკენ თავის მამულიდგან, მხოლოდ გაუძეხ ამისთანა კაცებს და საწადელს მიეხწევი ჩემო ბატონიშვილო ირაკლი!

ირაკლი. მაშ ჩემო მოჭინახულე გივო, მოციქულათ უნდა მიმეგზავნო მეფეს მაშაჩემთან.

გივი მიბძანე რა გნებავს?

ირაკლი. ნება მომცეს ქვემოთ სოფლებისაკენ ჩავიარო, მიცნან ხალხთა.

გივი. არა სწორეთ მითხარ. რა აზრია ეგა?

ირაკლი მოხსენებით ეს მოახსენე და აზრი ეს არის, რომ საქართველოს ტლეთ დავედო, ან არა და ჩვენი მამულის შჳლები გამოვიხსნა. იცი ჩემო მოჭირნახულე გივო, ეხლა რა ამბავი მოუვიდა მეფეს?

გივი. (სიტყჳს განკალებით) უთუოთ რაღაც უბედურება კიდევ!

ირაკლი. გაღმა მხარის კახეთი და ქიზიყი სულ გაოსმალებულან.

გივი. ვაი ჩემს თავს, იმ ძველი ქართველების შჳლები?

ირაკლი. კეთილის და გონიერის დედი ჩემის ძუძუების რძე, ბრაზად გადმექცეს, თუ მე ეს დავთმო.

(ამ სიტყვაზედ გივი დაემხობა, ირაკლის მარჯვენა ფეხს აიღებს და თავის თავზედ დაიდებს ამ სიტყვით.)

გივი. ეს ჩემი თავი მუნიანის ძაღლების წილი იყოს,

თუ ხმლის მეტი იარაღი მე ვისმარო მტერზედ. (ამას-თან ასწევს ირაკლი თავის გამზრდელს ამ სიტყჳთ.)

ირაკლი. მაშ საჩქაროდ მიმოციქულე მამაჩემს მეფე-სთან.

გივი. ეხლავ, შენ ნუ მოკმიუდები ირაკლი! (და საჩქა-როთ გავა. ეს რო გავა, მეორეს მხრიდგან ორნი დანი ისევ მოვლენ და აჩქარებით ეტყჳან.)

ქეთევან და ანნა. შენს გაზდას რას ელაპარაკებოდი შენს მოჭირნახულეს გივსა, რას ამბავში ხართ შენ და ის?

ირაკლი. თუ ჩემი სიყუარული გაქუს, წადით ქართვ-ელებისათჳს ილოცეთ, ამაზედ მეტს ნუღარას მათქმე-ვინებთ ჩემო უსაყვარლესო დებო.

ანა. სად წავიდეთ, ვის მივმართოთ? უშენოთ ღმერთმა ერთი წამიც ნუ გვაცოცხლოს ირაკლი.

ირაკლი. რა ამბავია, რას შეშინებულხართ, მითხარით?

ანა. სადაც წახჳდე, ჩუენც შენ გამოგყვებით; შენთან მოვკუდებით, შენთან დავიხოცებით მამულისათჳს. სამნივ ერთად მსხვერპლი ვიყოთ მამულისა შენი ჭირიმე.

ირაკლი. რას ამბობთ ქალებო? ნუ მაჯავრებთ, ნუ მი-კლავთ გულსა. (ანა და ქეთევან, ერთი აქედგან და ერ-თი იქიდგან გადაეხვევიან გულშემტკივნეულისა სიტყჳთ.)

ქეთევან. შენს თავს ნუ მოგვაშორებ ჩუენ. შენს სა-ხეს რომ აღარ შემოვხედოთ, ვის დაუწყოთ ყურება? ჩუენსა სისხლსა ნუ დაზოგავ, უთუოთა სამნივ ერთად შენმა მზემა. უფრო კარგი და საამო არ იქნება, ჩუენც შენთანა თავი დავზდოთ მამულზედა მამულისათჳს. (ამ

სიტყჳსაზედ თავსა გულში ჩაუდებენ და ატირდებიან. ამ დროს თამარ დედოფალი მოვა და, ასე რომ ნახავს ამათ იტყვის.)

დედოფალი. ქალებო, რა დაგმართჳათ? რად ჩასტირით გულში ირაკლის?

(საჩქაროთ თვალების მოწმენდით)

დები არა, არაფერსა.

დედოფალი. თუ არ მეტყჳთ დიდათ მეწყინება. (ქალები შეკრთებიან, და ისევ ირაკლი.)

ირაკლი. ჩემმა კელმწიფემ მამამ მიბძანა: ახლა უმაწჳლი აღარა ხარო.

დედოფალი. მეც ვიტყვი უმაწჳლი აღარა ხარ. მას უკან?

ირაკლი. ის სიტყჳა ჩემს გონებას აღარ ეშჳება.

დედოფალი. ჰოო. აღარ ეშჳება? ერთი მართალი და გონიერი სიტყჳა, ვისაც მცირედი გრძნობა აქჳს, რომელს არ შესძრავს, ნამეტნავად შენისთანა გრძნობიანს უმაწჳლს, მითხარ რა განზრახვა მოგსვლია თავში?

(ამ სიტყჳაზედ ორნივ დანი ატირდებიან ქვითინით და ტირილს ვეღარ დაიჭერენ, ამ ტირილზედ მოტრიალდება)

დედოფალი. ქალებო, ქვითინებთ? ოჰ, ქვითინებთ და სცოდავად. ეგ თქჳენი ქვითინი, ვიცი ზეცაში აიჭრა ამ წამს. იქ ზეცას დამოეკიდა მაგ ცრემლისა გულმტკივნეულობა ღმრთაების დასაყვედრად. ღმერთო, ეს რა წარმოვსთქვი? აი ასე დაუხედავი, უფიქრელი სიტყჳა? ღმერთო! ნუ განმირისხდები შეცდომილებისათჳს, ყოვ-

დივ ნაკლულს დედაკაცსა (მასუკან ქალებისაკენ.) ქალე-ბო! თუმცა მიხვედრილი ვარ, მაგრამ მინდა სწორეთ მიამბოთ, რა ამბავია?

ქეთევან. აქ გიახლებოდით, აგერ იმ კლდესთან მოფა-რებით რომ მოვედით, გაზდილი და მოჭირნახულე ერ-თმანერთს შეეფიცებოდნენ საშინელის მტკიცის ფიცით მამულზე.

დედოფალი. აგრე ირაკლი? პირჯუარ დაგწერ მეც, მშვი-დობით ამიერ, ეხლავ მინდა გამოგიტირო მე, (ირაკლი დაიჩოქებს დედის წინაშე, ქალებიც შორი ახლოს, საწ-ყალობელის ტირილით დგანან) წადი, წადი შჳლო თუ ჩემი მშობლიური გული არ ატირდება შჳლის ტანჯვით, ღმერთი რას მისცემს ჩუენს ქუეყანასა? ახლავ გამოგე-თხოვები გადახვევით ჩემს ერთს ძესა, ჩემს ლამაზს ლოყებზე უკანასკნელად გაკოცებ, გულში ჩაგიკრავ მაგ-რად სიყუარულით; ეს ეს არის გამოგიმეტე: მკვდრის საკაცე, ან მამული შჳლო. (ირაკლი ძუძუებზე მივარ-დება.)

ირაკლი ამ ძუძუების უტკბილესი რძე, ჩემი გამომკუ-ვებელი უმაწჳლობისა; ის შენი კეთილი სული დაგვფა-რავს ქართუელებსა, უსაყვარელესო დედაო!

დედოფალი. იმედი მაქვს დაგიფარავსთ სიმართლე და ჭეშმარიტება, მაგრამ ხედავ, აგერ, შენი მოჭირნახულე გი-ვიც მოდის. ირაკლი წამოდგება, გივი მოვა და კედ მო-ჭდომით დადგება შორი ახლოს.)

დედოფალი. გივო, მეფე წაბძანდა ზევით სოფლებისა-კენ?

გივი საჩქაროთ გადაჯდა ცხენზე, რამდენიმე დღით წაბძანდა.

დედოფალი. ხომ არა გიბძანარა?

გივი. რისა შენი ჭირიმე? (ირაკლი ჩამოართმევს სიატყჳას)

ირაკლი. დედავ! მე გავგზავნე მოციქულათ.

დედოფალი. კარგი აღარას გკითხამთ. ქალებო წავიდეთ, დრო არის. (თავის ქალებით გავა. ირაკლი და გივი იქ დარჩებიან)

ირაკლი რა ამბავი მამიტანე?

გივი ნება მოგცა: წავიდესო. ახლა დაყოვნება აღარ უნდა.

ირაკლი მაშ წავიდეთ მოვემზადნეთ. (ესენი რომ წავლენ, ერთი ფიქრისაგან ატაცებული მშჳენიერი ქალი შემოვა)

მელანია გვეგონა, ამ ფშაველების სიმაგრეებში, რომ შემოვიდოდით, მყუდროდ დავრჩებოდით აქ მაინც, წინათ განძრახვა სულ სხვა. აბა რა ვიცოდით რა შეუდგებოდა ამას? ჩემმა მომნათლავმა მეფე თეიმურაზმა, ეს ერთი კჳრა იქნება, მე ერთს ყმაწჳლს კაცზე ჯჳარი დამწერა, აქ ამ სიმაგრეში, საქართჳელოს კაი კაცის შჳლზე: რომ ორი ესე სახლი მკჳდრად გაერთებულ იყვნენ ერთმანერთში, ოჯახების განსამძლიერებელად: ის ოჯახების გაერთება არის, მაგარი სჳეტი საქართჳელოსი! ხედავ ბედო? ამ ერთს კჳრაში როგორ შეგვიყვარდა მე და იმას ერთმანერთი, როგორის სურვილით! თითქმის გიჟები ვართ სიყჳარულით! სულ ამას ვეუბნებოდით ერთმანერთსა:

რა კარგი ყოფილა სიყვარულიო! ამ სოფლის ბედნიერება თურმე ეს არისო! ასე და ამ ყოფით ვიყავით ეს ერთი კვირა; ამ ერთის კვირის ასეთი სიყვარული, საკმარა ჩუ̂ენთჳს? ეს სიყვარული ათასი წლიწადი კიდევ ცოტაა, არამც თუ ერთი კვირა თქუ̂ენი ჭირიმეთ რა ამბავია ჩვენს თავზე? მე წინათვე ვგრძნობ, რომ ჩემი ესე სავსე სიყვარული უბედურად შეიცვლება. ბარემ ახლავ გამოვეთხოვები ჩემო თავო საუკუნოდ. (მწარედ ატირდება, მასუკან კიდევ:) ეხლა ეს არის ბატონი შჳლის ირაკლის ჩემი ქმარი დაებარებინა მამულის გამოსახსნელად, მაგრამ ეს ჩემი სიყვარული ხომ დაობლდა. . მამულო და სიყუ̂არულო! რომელი აღვირჩიო მომატებულად? (საშინელს გულის აღელვებაში და აქეთ იქით გიჟსავით ეხეთქება ამ სიტყვებით:) ვუჲ რა ვქნა? უბედნიერესი სიყუ̂არული! ფასდაუდებული სიყუ̂არული! ღუ̂თაებიანი სიყუ̂არული! როგორ დავთმო? ეს სიყუ̂არული, რომ არ დაითმოს, მამულს რაღა ერგო? ახ! მამულო და სიყუ̂არულო! რომელი ავირჩიო? არავინა ხართ შემამძახოთ? ღმერთო მამე ძალა მე უმაწჳლსა ქალსა, რომელი ამოვირჩიო? რას მეუბნები გულო ჩემო, რომელი ავირჩიო? ოჰ! ამამირჩევია მამული! (ამასთან ჩაიშლება დედამიწაზედ და მკლავზედ ძლივს დაეყრდნობა გვერდზედ წამოწოლილი, რომელსაცა გული ასდის და დასდის სისხლის მღელვარებით. ამ დროს ამისი ქმარი მოვარდება, ამ მდგომარეობაში რომ ნახავს კელს სტაცებს; გაფრთხილებით წამოაყენებს და თავის გულზედ მიიყრდნობს )

სარიდან მელო, რა დაგმართვია? რათ მოსულხარ აქა? რათ გიწუხდება გული? კარგია მოსულიერდი. ჩემო მელო.

მელანია (ხელსახოცს პირზე მოისომს.) ჩემი სარიდან ხარ? შენა ხარ სიცოცხლეო?

სარიდან. მე ვარ, მიამბე შენი ამბავი.

მელანია. რა ვიცი რათ მოველი აქ, მწუხარების ფიქრმა გამამიყვანა შინიდგან და უგზო უკვლოდ აქ მოვსულვარ .

სარიდან. (საჩქაროდ მიატანს,) ბატონის შჳლს ირაკლის რომ დავებარებინე კხლახანს, იმ დროს ერთმა ჭკაბუკმა, რომ გაიარა ჩუენი ქოხის წინა და სანათურიდგან შენ რომ იმას შახედე, მეწყინა მე ეს და გაჯავრებული წამოველ. იქნება იმისმა მწუხარებამ მოგიყვანა აქა? ნურას იტყვი, არას გათქმევინებ ჯერეთ, ჯერ ჩემი დამასრულებინე, მოიხედე აქეთ, შენ სად წახუალ ჩემის ხელისაგან, შენის სიყვარულით სასო წარკუეთილსა, ჩემს მუხლზე კალთაში სულსა ამოგართმევ, კარგათ დარწმუნებული იყავი ამაზედ. რად არ იცი აქამდისინ, რა მქჳან მე? მე მქჳან გაუკითხავი მტარვალი შენი, ისევ შენის სიყუარულით დასაყუდრო. (ამასთანავე უეცრად ჩაფიქრდება ცოტათ, შემდეგ ) ეჰა, აღელდა სისხლი, ველარა გავიგერა რას კანიობ. მოიცა, მოიცა სრულს გონებაზე მოვიდე, (გულს, რომ დაიმშჳდებს.) მეტი სიყვარულისგამო, მეტის სულსწრაფობით იქნება იმ დროს გევნოს რამე ჩემგნით, ჯავრიანს დროსა უეცრათა, მაგრამ ამასაც ვერ დავმალავ შენთან, მხოლოდ ეგ უპირატესი თვალები

ჩემკენ გადმოატრიალე და საამოდ შემომხედე, რას მიზავს მე, როგორ დაასუსტებს ჩემსა მძლავრსა მტარვალებრ შენი სიყჳარული? ჩემი დასაკვლელი საჭურჭლი მოგე ჴელში, რაღა გინდა? აგრე, აგრე შამამხედე. მოლბა შენი ბარბაროსი, ახლა შენი კრავი საყჳარელო!.

მელანია რას მეუბნები, როგორ უბედავ ჩემსა ერთსა სიყჳარულის საგანს, მაგ დაუჴედავს სიტყჳებს? ჩემი სიყჳარული უბრალო აზრი ხომ არ არის, გონებას გა-დააკრას, გადურბინოს, ჩემი სიყვარული არის, ხედავ ამ გულს? ვინ არის ამაში ჩასახული, ვისი სიყვარულის მხატრობაა აქა, შენ სარიდან? .

სარიდან კარგი ნუღარ ჯავრობ. ჩავიხედე, დავინახე ემანდ გულში, მოტევებას ვითხოვ.

მელანია. კაცი ზდილი ის არის; ქცევა მისი ასე იყოს, რომ არავის არ უთხრას: უკადრავად, არამცთუ მოგიტე-ვე. რაკქნა, ფეხის ხმაურობამ მიმახედა სანათურისაკენ. დავინახე მგზავრი ვიღაც, მაგრამ თჳალი ჩემი შენს გზას მოჭყჳა, ისე ჩქარა. ერთმანერთის სიყვარულის შური ორთავე გვკლავს, მეც აგრე ვარ. არ მიამის არა ქალის საუბარი შენთან, არა შენის მახლობელისა. ასე ვგონებ დავდნებოდე იმ დროს სრულად, საქმით სცნობენ ამას თორემ ეხლა რა ვთქჳა?

სარიდან დაიჯერა ჩემმა გულმა, შენგნით წერილი არის ესა. შენგნით დახჳწრილი, დაძაფვნილი. მაგრამ მაინც მითხარ, რომლის მწუხარების ფიქრმა მოგიყვანა აქა?

მელანია. შენი ჭირიმე წარმოიდგინე. ერთის გვრის

ჯჳარდაწერილები; ერთმანეთის სიყჳარულით გაგიჟებულე-ბი, ეხლა უნდა გავიყარნეთ მე და შენ?—(თავს გულზედ ჩამოჰკიდებს, სარიდან მიიყვანს კლდეზედ ჩამოსომს ამ სიტყვებით.)

სარიდან. სუს, გულით ღმობიერო ქალო. თუ შენი ქმარი გიყვარს გული მოიბრუნე და ყურიც დამიგდე.

მელანია აგრე იყოს შენმა გაზდამ, თქვი, გავიმაგრებ გულსა

სარიდან. (გაივლის გამოივლის, ხან შედგება.) მეტად კარგი და განუყრელი სიყვარული, ეხლა უნდა გაიგლიო-ჯოს სიყჳარული ახალი, ახლად შეთჳსებული: ვით დაკო-კრებული, ცოტად შლილი ვარდი, კეთილსა ჭაერსა შე-ღიმოდეს, კეთილსა ჭაერსა, მაგრამ ბოლოს ცეცხლის ბოლი დაახრჩობს. გაიცინე, გაიკასკასე უზომო სიყვარუ-ლო! ვიცი პირდაღრენილი ვეფხვი შეგჭამს ბოლო დროს (მობრუნდება) მელო ტირი? აგი დამპირდი: გულს გა-ვიმაგრეფო, რად ტირი მელო, რავდენი მე და შენისთანა მაგალითები ჭყოლია საქართუჳლოს, საქართჳჳლოს შჳ-ლები, სწორედ გეტყვი; გესმის არ შეიკრთო გული, თო-რემ მოსაწყვლელსა ისარსა მკრავ. ორი რამ მიგვიძღვის ეხლა მე და შენ: ბედნიერების გვირგვინი საქართველო-სი, ანუ მორთული გუბო შემოსილის ხუცესითა (აქ საშინლად, უეცრად დაიკივლებს)

მელანია ვაჲ!

სარიდან შე მოკლე სულო, უსუსურო, მაგას კი ვე-ღარ მოგიითმენ, ეხლავ ხანჯალს გულში დაგცემ და მეც დაგაკჳდები, ვფიცავ! (გაშფოთებული ხანჯალს ამოიღებს

ამ დროს ირაკლი, გივი და სხჳანი ბევრნი მოვლენ, სულ საჭურველით შეჭურვილნი ირაკლი ამას რომ ნახავს, გაექანება და სარიდანს კელს დაუჭერს ხანჯლიანსა )

ირაკლი. რას შვრები სარიდან? რას ემართლები, უმანკოს ჩემს სულიერს დას?

სარიდან. (მეტად გაჯავრებული ვერას გაიგებს) ეს უმადური ქალი მამულსა ჰგმობს ჩემი სიყვარულისათჳს.

ირაკლი. გონებაზედ მოდი, შემამხედე.

სარიდან ჩემო ბატონო შჳლო, მამიტევე ღმერთი გამარჯუებას მოგცემსთ.

(ამასობაში მელანია გონებაზედ მოვა )

მელანია. რათა მკლავ სარიდან! რას მემართლები! გგონია მე სიკჳდილისა მეშინოდეს? მამკალ ჩქარა, სინანულის თვალებითა ნულარ მიყურებ. (მასუკან მიიხედავს და რა დაინახავს:) ბატონი შჳლო ძმაო ირაკლი, უცხოს დროს მოხველ. შემოგჳვლებ კიდეც; კინაღამ მამკლა ამ ჩემმა ქმარმა, გაუწყერ, გაუწყერ საქმის გაუჩხრეკელს ამას.

ირაკლი. კარგი, მე შეგარიგებთ. მაიტანეთ ორთავ კელი. (გამოართმევს,) აჰა გადაეხვიენით ერთმანერთსა და შერიგდით ჩქარა (გარდაეხვევიან და შერიგდებიან.) განა გიამათ თქვე ეშმაკებო! ჩემო დაო მელანიავ, ნუ სწუხარ, შენს ქმარს არ მოგაშორებ; ამ სამს დღეს უკან ალავერდს ჩამოდი და შენს ქმარს იქ ნახავ (ორნივ მივლენ და ირაკლიც გულზე შეიტკბობს ორსავ, შეხვდვენ, ნახვენ რომ სარიდანის და მელანიას დედმამანი მოვლენ, სარიდანის მამა შემოსძახებს )

ომან ღმერთი გადღეგრძელებს ბატონი შჳლო ირაკლი, უარს ნუ გჳეუბნები, აი სულ მზათა ვართ, ჩუჱნცა გიახლებით და გეკედრებით. (ახლა მელანიას მამა.)

რევაზ. მე დალოცჳლო, ბარემ წყალში გადაგვყარე შენს მზეს ვფიცავ, თუ არ წაგვიყვან ძალათ წამოვალთ. მე და ეს ჩემი მძახალი ომან გავიფიცენით, უნდა წამოვიდეთ უთუოთ.

ირაკლი. აქ მეფესთან ვინა იქნება თქუჱნ კურთხეულებო?

რევაზ. ბევრნი ჩუჱნისთანანი.

ომან და უფრო კიდევ უკეთესნი.

ირაკლი (ეტყვის ომანის ცოლს), ომანის მეუღლეო ბარბარე, თქუჱნ რაღას იტყვით?

ბარბარე შენი ჭირიმე წაიყვანეთ ორივ, თორემ გულარ მოისვენებენ სახლში.

სიდონია თქუჱნ მზეს ვფიცავთ, მე და ჩემი მძახალი ბარბარე იმისათჳს გიახლით, გთხოვოთ წაიყვანოთ ორივ. რას ბძანებთ ბატონო? წაიყუანეთ შენი ჭირიმე, ჩუჱნი მამული ტირის უბედურობით.

ირაკლი. კარგი წავიყვან ორთავ.

(უეცრად სარიდანს დაინახვენ და მელანიას სარიდანის მამა ომან ეტყვის სარიდანს )

ომან. შენ, დიახ კარგი სარიდან, ეს ჩემი რძალი მელანია აქ რას აკეთებს?

ბარბარე თავის ქმარს გამოჭყოლია უთუოთ.

ირაკლი ოთხთავე გთხოვთ, ეს ჩემი სულიერი და მელანია, ამ სამს დღეს უკან ალავერდს ჩამოვიდეს თავის

ქმართან.

რევაზ, ბარბარე და სიდონიაც, უთუოთ გამოისტუმრეთ.

სიდონია დაუვიწყარო და კეთილო ბატონი შვილო! აგრე იყოს შენმა მზემა. (ამ დროს დედოფალი თავის ბანოვნებით, სასულიეროს კრებით და ხნიანის ქართველებით მოვლენ ერთს მღჳდელსა ღჳთის მშობლის ხატი მოაქჳს ორის კელით; ამ მღჳდლის გვერდით დედოფალს პატარა ძელი ჭეშმარიტი კეში უჭირავს სხჳა და სხჳა ნაწილებით სავსე, ოქროს ძეწკვიანი და სხჳანი უკან მოსდევენ ამათ.)

დედოფალი. შვილო ირაკლი, ერთობით მოვსულვართ შენთან, გვინდა გზა დაგილოცოთ, თუმცა საშინელი განსაცდელის გზა, მაგრამ შენი უბედურის ძმებისგამოხსნისა, არა ერთის ბარბაროსებისაგან, არამედ რავდენთაგან, შვილო მიიღე ლოცვა კურთხევა ჩემი დედობრივი, დედისაგან და გამომეტყბული სრულის გულით ამ ჩემს ძელი ჭეშმარიტსა, ნაწილებით მოჭედილს, ყელზე ჩამოგკიდებ. (*) (ირაკლი დაიჩოქებს და დედოფალი ჩამოჰკიდებს;) ეს გიმძღოდეს სისხლის ღვარში ირაკლი. ამ ჩჳენის სისხლის მსმელების ომებში რომელთაცა ქართველების ამოთხრა უნდა საქართველოდგან ძირითურთ, წადი, ნუ დაზოგავ თავსა ნურას გაჭირებაში, ასე გაშფოთებული ვარ უწყალოს ჩჳენის მტრებისაგან

(*) ის ძელი ჭეშმარიტი ეხლა მე მაქჳს; მაშინ ფშაველებში, რომ მიუცია დედას.

რომ აღარ გკნესის ჩემი გული. (ირაკლი მარჯუჱნეს ჴე-ლს გამოართმევს თავის დედას და თავის თავზედ დაიდებს )

ირაკლი. ჩემი აკვნის მოჭირნახულე ჴელი ესე, როგორც მიმიკრავდა მე შენს გულთან შეთჳსებულს და დღე და ღამ მიუვაკებდი, მე უმაწჳლსა ამომტირალს შენის კარგის ნანით. ის შენი წმინდა ნანა, ის შენი მშობლიური სიყუარულის ღამის თევანი იყოს ჩუჱნი, ქართველების წინამძღომელი, ჩუჱნო, ქართველების ანგელოზო! წავალთ და გაგვიძლევება მადლი შენი დედავ.

დედოფალი. ჩემი მადლი შჳლო? არა, მხოლოდ ღმობიერი ცრემლი, მხოლოდ გულმხურვალე ვედრება ღუთის მშობლისა ამის წინაშე; მოდი დაუმხე მოგცეს შემწეობა (მივა და ღუთის მშობლის წინ დაიჩოქებს )

მღუდელი ზაქარია (მეფის სახლის მოძღვარი, რომელსაც უჭირავს ღუთის მშობლის ხატი )

სად წარხედ დიდებაო ჩუჱნო ქართველთაო! რათ ბნელდები ქართველთ მეუფების ანთებულო ხომლო და მოსხმულთა წმიდა ნათელთაგან განრწყინვებულო არეო ჩუჱნო! სადა იყო ჯვარნი მოწყენილობით ჩუჱნს ბედნიერს სიხარულთან? სადაა მწუხარება სიმწარითა, ჩუჱნს სასიცოცხლოს მხიარულებასთან? დიდო განსხვავებულო უქმე დღეო ჩუჱნო! რომელი ქართველიღა მღუდელი გადმოდგება ამბიონზე შემოსილი და სრულის კმაყოფილების სახით გადმოიძახებს ეკკლესიაში: ქრისტე აღსდგა! ვინღა უხმობს სადღესასწაულოს ჴმითა: ჭეშმარიტად! დაეცა ყოველი ჩუჱნი კარგი ქართველებისა, ვინღაა ჩუჱნსა

ნაცჳლად საქართჳელოში! ბარბაროსი მტერი!.. მოჭაფელო ჩემო ირაკლი! ეხლა ჩახჳდა, ბარში, ხოლო რას ნახავ იქ? ვაჲ! შაოსანთა დედაკაცთა გულხელდაკრეფილთა და თეთრ წვერათა ბერკაცებსა საკინძ ჩამოწყჳეტილთ, რომლებიცა აღავლავლებიან შენ წინაშე მტრებზედ, მაშინ გაიმაგრე გული, ახლავი წარვედ ირაკლი, წარვედ შენის ქართველებით, ამ სასწაულთ მოქმედის ხატის წინამძღოლობით! (ირაკლი და სხჳანი დაემხობიან, ღჳდელი განაგრძელებს) დედოფალო სიწმინდისაო! ცოდვასა ჩჳენსა ნულარ დაგვიმძიმებ, ეგო შავი ჭირნი შენს ქართველებსა, კარგი კელი მოგვე შენი წმიდა გულკეთილი, და გაგვადგინოს უფლებისა სადარზედა კვალად. კარგი გვანვენე შენი საქართჳელო კიდევ საქართჳელოდ. ოჰ! სიხარულო, მაშინ!..

(ირაკლი და სხჳანი წამოდგებიან მოწიწებით. ამ დროს მაღლა მთიდგან მთების დედაკაცები ჩამოდიან საჩქაროდ და თავის წვრილის შვილებისათჳს ათის წლისა ანუ თხუთმეტისათჳს კელი წაუვლიათ კელში და ერთად მოეშურებიან. მოვლენ და ირაკლის მოეხვევიან მუხლებზე)

მთის დედაკაცები თავის შვილებით. შენ გენაცვალოს ჩჳენი თავი ერეკლე. ჩქარა წადი, საქართჳელოს მიეშჳელე, თორემ იმხობა, იმხობა, მიეშჳელე შენი გვნესამე. ჩჳენი მთის ჯარებიც ემზადებიან ბატონი შვილო, ჩჳენს გაცვებს ნულარც ერის ნულარ გამოუშვებ; მინამ მტრებს ბოლო არ მოუღონ, აქეთკენ პირი არა ქნან, თორემ ჩჳენს ლეჩაქებს თავზე დავახვევთ ბატონო.

ირაკლი. აი, აი მივდივართ.

ყველანი ერთპირად. ღმერთო შენ გაატანა შენი მოწყალება ერეკლეს და იმის ქართველებს გამარჯჳჱბა.

ესენიც სულ ერთიან. მშჳდობით! ნადირებისათჳს ჩჳჱნი ლეში, ან აღდგენა ჩჳჱნის მამულისა.

(ამას იტყვიან და კიდეც გავლენ. აქ ირაკლის ლებს გული შეუწუხდებათ და თავის დედის გულზედ ერთი მარჯჳჱნა მრით და მეორე მარცხენით მიეკვრებიან; ამ დროს ნახვენ მთიდგან მთის ჯარები ჩამოდიან და ესენიც დაიძახებენ)

მთის ჯარები. გაგვემარჯოს, ან ყორნებსა ჩჳჱნი მძოვრი.

ფარდა დაეშვება.

---

## მეორე მოქმედება.

(ფარდა აიხდება, ალავერდის ეკკლესია გამოჩნდება, ეკკლესიის კარების მახლობლად, ერთი დაკუტებული ყმაწჳლი კაცი თავადიშჳლი ზის ქჳჱშაგებში და თავით უზის ხნიანი გამდელი.)

ბესარიონ. ჩემო გამდელო გმირისეულო, ავდენმა თრევამ წვიმა—წუნწუხში და ყინვებში ხეტებამ. ვინ იცის სად და სად, მთებზედ თუ ბარში, ამ მდგომარეობაში ჩამაგდო, ასე დამაკუტა.—რა იყო? მტრის სისხლის ღვრით გავძღე მეთქი, ბევრჯელ ტურასავით წვრილმალიანს ტყეში ვებდე და ორს სამს დღეში ერთხელ მადა დაკარგული,

ცარიელს ხმელს პურს ვღრღნიდი ძაღლსავით, ისიც იმისთჳს, რომ მშიერი არ მოვკუდე მეთქი, რისთვის ვითმენდი მე ამაებს?—ახ! უბედურო ჩუენო მამულო, სულ შენთჳს, აღარ შეუძლიან განა?—იჲ, ჩემო ყმაწუილკაცობავ, შესაბრალისი ჩუენი საქართუელო, ეხლა მე მგავს სწორეთ, კედებს იქნევს აი ასე ჩემსავით და ადგომაგი აღარ შეუძლიან, კიდევ ჩემსავით საქართუელოვ, საქართუელოვ! ერთათ ვკუდებით მედაშენ ერთის სენით დაკუტებულები. ცოდონი არა ვართ, რომ ჴელ გამოუღებულნი დავიხოცნეთ ორნივე სიკუდილით. მერე ვინა?—ვაჟკაცი საქართუელოს შჳლი ბესარიონ და ძლიერი საქართუელო, სიმხნით თავ მოწონებული!—აღავერდო! დაიქეც, ან არა და საქართუელო გაამთელე, თორემ შენს ტაძარში ფეინი ჩაიყრება მტრისაგანა, შენის ქართუელების ჩუენს დასაყუედრად. (აქ თავს ჩაჰკიდებს დაბლა დაღონებული, მასუკან კიდევ აიხედავს). ჩემო გამდელო აგერ აიქ კედელზედ ჩამოკიდებული ჩემი იარაღი, მოიტა ჩემთან. (მოუტანს საჩქაროთ). ის ბარი კედელზედ რო აყუდია, იმითი ამ ჩემს მახლობლად მიწა ამოთხარე. (სთხრის) კარგა ღრმათ რომ მოთხარო, ეგ ხმალი შიგ ჩადვალ, და მიწა მიაყარე ზედ (ჩასდებს და მიწასაც მიაყრის.) ჩემო საყვარელო გამდელო, იცი რა ამბავია?

გამდელი უთუოთ ასერთი მტერი მოგიკლავს მამულისა შენა?—

ბესარიონ. მერე როგორ?—სულ ვაჟკაცურათ პირდაპირ და არა ხისუკან ამოჯდომით. ჩემი და შენი სისხლი ვილე მგონია და მამულსაც ვემსახურე საკმაოდ?—

გამდელი. მამიშენის ანდერძი აღგისრულებია, მაგრამ, ნუ კი გეწყინება, იმან ორი ხმალი დაამარხვინა.

ბესარიონ. მეც შევასრულებდი, მაგრამ რა გაეწყობა დავკუტდი.

გამდელი. ნუ სწუხარ, კარგსიზმრებში ვარ, ამ ეკლესიის მადლი გაგამთელებს.

ბესარიონ. მეც მაქვს მაგისი იმედი, რომ კიდევ ვემსახურო მამულს, მაგრამ ვინიცობისათვის, ეს ჩემი თოფი იარაღი შეინახე; თუ მოვკვდე, ეგ იარაღი ჩემს ცოლს ბებეს მიუტანე; ჩვენს სამის წლის ძესა გიგოას შეუნახოს. მასუკან თითონ იცის.

გამდელი. გაუბედრი, რად გაგზავნე შენი ცოლშვილი ქართლისაკენ, რად მოიშორე რომ ახლა მაგას ამბობ?

ბესარიონ. თავის მშობლებმა გაიწვიეს და რა უნდა მექნა — მეორეც ეს, რომ საშინელი შიშია ეხლა კახეთში: გაღმა მხრის გლეხი კაცნი გაგვიოსმალდნენ სულერთიან, მაგრამ ჩვენ თავადაზნაურნი ვდგევართ მამაპაპისებურად მაგრა და ვერც შეგვირყევენ გულსა, ვერას საშინელებაში — აბა ახლა რა ვქნა, ბევრი ლაპარაკი აღარ შემიძლიან, დავიღალე, მოდი უკან შემიჯექ, ცოტათ წამამსკი, მცირედ ვილოცო.

გამდელი. კარგსა იქ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ილოცე, ამ ეკლესიის მადლი გამოგიხსნის შენმა გაზრდამ (მივა უკან შეუჯდება და ცოტად წამოსწევს)

ბესარიონ ჩემი ვედრება ამის მეტი არა არის რა, რომ ჩვენის მამულის მტრების ჯავრსა ნუ გამატან საიქიოს, ნუ ჩამაყოლებ საფლავში ღმერთო! თუ ეს უსამართლო

შეწუხება იყოს შენი, დიდსა განკითხვასა დღესა, უდიდეს ცოდვად დამდე კისერზე, ეს ჩემი თხოვა, ეს ჩემი ხვეწნა. ამაზე მეტს აღარ დავიჩივლებ შენთან. ჩემო გამზდელო, ახლავე მიმასვენე ბალიშზე, ძილი მამდის. (მიასვენებს და თითონ გადმოვა აქეთ, ამ დროს ერთი ხნიანი ბერი შემოვა და იკითხამს )

ბერი იოანე გამდელო, ახლა როგორ ბძანდება ბესარიონ? აღავერდელი აკითხამს მაგათ ამბავს.

გამდელი. მოკითხვისა დიდი მადლობა მამაო იოანე, აქამდისინ არა ეტყობოდარა, მეტად სტკიოდა მუხლები და უძილობაც იყო. ახლა მეც არ ვიცი რა არის? უც-ხოთ ჩაიძინა და დიახ კარგათაც ქშინავს. რაც აქ მამიყვანია, ამ ათს დღეში ჯერ ასე წოსვენებით არა უყოფილა.

ბერი. ეგენი სულ კარგი ნიშანია გამდელო. ღჳთის მოწყალებით კარგა შეიქნება, ნუ სწუხარ, და თავისებურად რისხჳას ღმრთისასა დასცემს კიდევ მტერსა, მაგრამ მაგისთანა ძლიერი ყმაწჳლი კაცი რად ჩავარდა აგრე კუტად? რა იყო მიზეზი? მიამბე, აღავერდელს მოვახსენო, ილოცოს მაგისათჳს.

გამდელი. რაც შევიძლებ მოკლედ მოგახსენებ, თავი არ შეგაწუხო.

ბერი. მეც ყურს დავიგდებ, კარგად გავიგონო.

გამდელი საწყალი ამის მამა და თხუთმეტი იმის სახლის კაცები, სულ მტრის ჴელით დაიხოცნენ სხჳა და სხჳა ომებში. ეს რომ თავს მოესწრო, ამის დედა აჩქარდა: ერთი შჳლი მყავს, ჯჳარი უნდა დავსწეროვო,

რომელმაცა! დააქორწილა და ქართლიდგან მოაყვანინა კარგი გვარის ქალი. ერთს წელიწადს უკან ღმერთმა ვაჟი მისცა. ამასთან ამის დედის ძმა ომში მოკლეს და ამის დედაც მწუხარებამ, გაიტანა საწყალი ეს კიდევ არაფერი, ეს როგორც იყო მოითმინა, მაგრამ ამის თხუთმეტის წლის და, მაღლა ჯიხურის მოაჯირზე იჯდა საღამო ჟამს და კარგის ჰაერით სიამოვნებდა. ეს იყო გაღმა მხარს, თავიანთ სოფელში, ამ დროს სად იყო და სად არა ვენახიდგან თოფი გამოვარდა ლეკისა და ის საწყალი ქალი გადმოვარდა ქვემოთ მკჳდარი, ეს კი ვეღარ მოითმინა. ზედდატანებით, ამის ცოლსა ქართლიდგან ძმა მოუვიდა და თავისი ცოლი იქ გაისტუმრა საჩქაროდ, ის რომ გაისტუმრა, ამან თოფ იარაღი შეისხა გულ ჯავრიანმა და მარტოკა შევიდა ტყეში. რაღა გითხრათ, ორი წელიწადი სდია ჩჳენსა მტერთა და იმათი სისხლი ღვარა კარგად, მხოლოდ კჳრაში ერთხელ შინ მოვიდოდა, გულით პურს აიკიდებდა და ტყისაკენვე გასწევდა. მეც მამულის მტრების ჯავრით ხელს უმართავდი, მაგრამ ამ ორის თვის წინათ რას ყოფით მთიდგან ჩამოვიდა, თოვლში გდებისაგან გათოშილი და კუტად ჩავარდა ქჳეშსაგებში, რავდენი წამლობა, რავდენი მოვლა; არა ეშველარა; ბოლოს სიზმარში ერთმა მოხუცმა კაცმა მითხრა: ალავერდს მოიყვა, კარგად შეიქნებაო, მოვიყვანე და ახლა ვნახოთ ამის საწყალი რასა იქს? (მძინარეს გადმოხედავს) აცა, აცა მამაო იოანე. აქამდისინ სულ გაციებული ჰქონდა ტანი, ახლა ოფლის წინწკლები დააყარა პირზე. ეტყობა ოფლი სდის კარგი (ამ სიტყვაზე

ეკკლესიისაკენ მიუბრუნდება)წმინდაო ეკლესიაო, აუარებე-ლისა სასწაულისა მოქმედო!ეს ჩემი გაზდილი გაამთელე, წამოაყენე ფეხზე,რომ კიდევ გამოადგეს ქუეყანასა ჩუენსა.
(ამას რომ იტყვის ბესარიონ წაროვარდება, ეკკლესიის კარებთან მიიჭრება და თაყვანსა ჰსცემს )

ბესარიონ შენი მოწყალებაა, შენი სასწაული შენმა მადლმა.

(ბერი ამას რომ ნახავს სიხარულით გაეშურება ამ სიტყვით.)

ბერი იოანე წავიდე აღავერდელს ვახარო ეს სასწაული (და წავა).

გამდელი (თაყვანის ცემით). ოჰ! ახლაკი იმედი მაქუს საქართველოც გამთელდება.

(ბესარიონ საჩქროთ გამდელთან მოვა და გამდელიც ფეხზედ დახვდება.)

ბესარიონ. ჩემო გამდელო ამ ეკლესიიდგან ერთი მრი-სხანე ვაჟკაცი გამოვიდა, მარჯუენეს ჴელში შუბი ეჭირა და მარცხენეს ჴელში ერთი თხუთმეტის წლის ყმაწვილი მოჰყუანდა, მოვიდა მითხრა: ნუ სწუხართ ქართველებო, აი ეს პატარა ბიჭი გამოგიხსნისთო. ამასთან მტაცა ჴელი: ადექით ქართველებო, ნუღარა ხართ დავრდომილსა-თაო. ეს რომ თქუა, მეც წამოვხტი და ეკკლესიას თაყვანი ვეც; ვიცი რაც ჩუენება იყო ეს სიზმარი, მარამ ის პა-ტარა ბიჭი ვინ იქნებოდა, ვინ უნდა იყოს, ნეტა მითხრა?

(ამას რომ იტყჳს, მერე გამდელი—გაფაციცებით )

გამდელი ოჰ, რაღაც გრიალის ჴმა მოდის! (ყურს დაუგდებენ).

ბესარიონ გრიალი და ცხენთა ჭიხვინიც.

გამდელი. ვაი თუ ოსმალოს ჯარი აქაც მოგვიხდა?— (გაექანება და შეიხედავს). ღმერთო დაგვიფარე! ერთი რაზმი შემოვიდა ჯარის კაცნი ამ გალავანში—დაქვეითებულნი

ბესარიონ. უთუოთ მოყვარენი უნდა იყვნენ, თორემ მტერი ვერ გაბედამს აქ მოსვლას, მეგალავნეების შიშით (ბესარიონ წადგება წინ, შეხედავს) რასა ვხედავ! სიზმარში რომ ვნახე, ის ყმაწვილი ბიჭი მოდის, უკან დაიარაღებული, საომრად მომზადებული დასი მოსდევს, დასი, მერე რა დასი? თვითო კაცი ლომსა ჰგვანან და ყველანი პატივისცემით მორჩილებენ იმ პატარა ბიჭს გამდელო უკან დადგე, აი მოვიდნენ, და კრძალვით თაყვანი ვცეთ.

გამდელი ქა გენაცვა, მაშ ქვეშაგები აკილო, (საჩქაროდ გაარბენინებს და თვითონ ისევ შემოვა ამდროს ისინიც მოვლენ, ბესარიონ გაექანება, იმ პატარა ბიჭის წინ ცალს მუხლზე დაიჩოქებს ამ სიტყვით, და გამდელი მოშორებით დადგება გულ-ჴელ დაკრეფილი, გამდელს შავები აცვია.)

ბესარიონ. არ ვიცი, შენ პატარა ბიჭო, ვინა ხარ? საიდგან ვინ მოგავლინა ჩვენის ქვეყნის გამოსახსნელად, რომელმაც ეხლა სიზმარში წარმომიდგინა წმინდა გიორგიმ: ეს პატარა ბიჭი გამოგიხსნისთო ქართველებო.

(გივი წადგება წინ)

გივი. ბესარიონ გიცნობ მე შენ, ეს ბძანდება ბატონიშვილი ირაკლი, მეფის თეიმურაზის ძე.

(ბესარიონ თაყვანსა სცემს)

ბესარიონ. მშვიდობა შენი მობძანება ირაკლი! შენი ფეხი კარგი იქნება უთუოთ. აქამდისინ რაც ვიყავ, ერთი ათად შევიქნები ეხლა და სხჳა ქართჳელები ხომ რასაკჳრველია. გვინდოდა წინ მორბედი და ღმერთმაც მოგჳცა. ახლა ჩჳენ ვიცით გაუკაცთ ქართველებმა!

ირაკლი. (კელს დაავლებს წამოაყენებს.) ძმაო ბესარიონ, განა კვნესით სწუხართ ქართველები? დედიჩემის ძუძუებზე დავიფიცე: ჩემს ერთს მუჭა სისხლსა არ დავიშურებ არას საშუალსა შემთხვევაში, უოველს ომში, შუა გულს ცეცხლში მე უნდა ვიყო, მე ვიქნები ყველგან მსხჳერპლი მამულისა.

(ბესარიონ დაბლა თაყვანსა სცემს)

ბესარიონ. ჩჳენც თავდადებით დავიხოცებით. თქჳენ წინაშე მამულის ძეო!

ირაკლი. მივმართოთ ამ ჩჳენ მამა პაპის ეკკლესიას, ჩჳენი გულის მოსაოხად (მივა და ეკკლესიის წინ დაიჩოქებს) დიდო მიუწთომელო ღმერთო! შენის განგებით აღიმართა ეკკლესია ესე, ქრისტიანობისა კეთილისა სასწავლებელად, მაგრამ სადღაა გალობანი შენი სასდღესასწაულო ეკკლესიათ, ის გულის სალბუნებელი გალობა და ის დიდებანი შენნი! ვინღა იტყვის განანახსა, რომელი მგალობლებიღა ჩამოართმევენ იმ გადმოთქმათა საბედნიეროს კმითა? სიხარულის ნაცვლად შენს ეკლესიაში ცრემლი იღჳრება განა? ცრემლი.—ცრემლი ამოწყვეტილთ სახლეულობისა, რომელნიცა მოსწყვიტნეს მტერთა. ქართჳელების დედანო შაოსანნო, დაეცით ზარი სიკჳდი-

დისა, ზარი ქართუელთ საფლავებზე, თმა წეწით რომ დასტირით კარგნი დედანი კარგსა შჳლებსა გამწარებაო ქართველთ დედებისაო, ღუთის წინაშე აიტკიეთ გული, ასე მტკივნეულად, რომელ მისი გულიც აატკიოთ ქართველებისათჳს. (ამასთან ამოიღებს და შიშველს ხმალს ეკლესიის კარებზე მიაყუდებს). ვის დავაყვედრო ეს ხმალი, ჩარხზე დადებული, გალესილი მჭრელსა პირზე? ისევ პირს გლიტე დავადო ასე სჯობია ეს ხმალი რავდენჯერ უნდა სისხლით შეიღებოს, ჩემსავით ადამიანის წითელის სისხლით, ვინიცის, იქნება იმ ჩემმა მოპირდაპირემ დამასწრას, სულ ერთია, მაინც მოკუდა ადამიანი, უსამართლოთ სხუა საშუალობა რომ არა გვაქუს ქარ · უელებსა, მაშ რა ვქნათ, რით გამოვიხსნათ თავი იმ ჩუენის სისხლის მსმელების მტრებისაგან, თუ არ ქართველების გალესილის ხმლითა. (მობრუნებით ქართუელებისაკენ), ძმებო ქართუელებო! მოდით დაიჩოქეთ და შიშველის ხმლების წვერებზედ შუბლი დავარყდნოთ. (მივლენ დაიჩოქებენ და ამოღებულს ხმლებზე შუბლს დააყრდობენ ირაკლითურთ) გავიფიცნეთ ამ ეკლესიის წინ: მტერსა ხმალი ან ქართუელთა სისხლის დალურა.

ერთიან ქართუელები. (დამშჳდებულის ხმით). დავიფიცეთ სიღრმეს გულში.

(ადგებიან და ხმლებს ქარქაშს მიაქცევენ, მასუკან ირაკლი გამდელთან მოვა.)

ირაკლი. დედავ შაოსანო, ვინახარ შენ?

გამდელი. მე გახლავარ ამ ბესარიონის გამდელი.

ირაკლი გამდელო, ვისგნით დაგდგომია მწუხარება,

ვიზედ გაცვია შავები?

გამდელი ჩემო კელმწიფევ! მამა მყჳანდა ომში მო-კლეს მტრებმა, ჩემი ქმარიც ომში, ექჳსი ჩემი ძმა კიდევ ომში, ორი მოსწრობილი ჩემი შჳილი—ისინიც ომში, ბოლოს დავრჩი ერთი დერი დედაკაცი უშჳლო, ბუდ გაკერშეული მტრის ჯავრით, რაღა უნდა მექნა; ავდექ ამ ჩემის ბატონის სახლში შემოველ და ეს სამი წლისა-მე გავზარდე ამდროს ყმაწჳლკაცად დიდის ჭირნახულით. მაგრამ აქაც არ მამეშჳა უბედურება: ამ ბესარიონის მა-მაც ომში მოკლეს, ამის დედის ძმაც ომში, ამის დედაც მწუხარებამ მოკლა, ამის დასაც თოფი ჰკრა ლეკმა და თხუთმეტის წლის ქალმა ჩემს წინ დალია სული. ესენი რაც მოგახსენე, სულ ჩემის კელით დამარხულან მიწაში და აი ამათზე მაცვია შავები ბატონი შჳილო ირაკლი! (და საცოდავათ ატირდება)

ირაკლი. (გაივლის გამოივლის შეწუხებით) ოჰ! რა ძნელი გასაგონია ეს ამბავი! (და მცირედ ჩაფიქრდება, მასუკან გამდელისაკენ.) გამდელო, კიდევ არიან ქართჳე-ლები საქართჳელოში? რაც დახოცილან მტრის კელით, რაც ტყვეთ წაუყვანიათ, იმის გარდა კიდევ?

გამდელი. არიან მაგრამ მტრისაგან დაჩაგრულნი.

ირაკლი. მაშ თუ არიან აღარ ვწუხვარ, ის ჯაჭვებზე დაბმული ქართჳელები ადვილად დასწყვეტენ რაზედაც დაბმულან და განჯრათა მოეტევიან თავიანთებურად, ლომი ისევ ლომია და თავის გვარს არ დაჰკარგავს არას საში-ნელს შემთხვევაში, თორემ ჩქარა ნახამ შენის თჳალით

გამდელი (მუხლებზე მოეხვევა) შენამც გენაცჳლება

ჩემი თავი, ასეთი სიტყვით და კმით ბნამეთ, რომ მჯერა ყოველი ეგე·

ირაკლი. მაშ თუ გჯერა, ახლა საქმეც გაიგონე. (თათბირი ირაკლი ორხუაზე დაჯდება მოკეცილი და სხვანიც აქეთ-იქით დაუსხდებიან.

ირაკლი. აბა რა ვქნათ, როგორ გამოვიხსნათ საქართჳელო?—ქართლი, სომხითი ოსმალთ უჭირავთ და იმათი მცხოვრებნი უკანასკნელს მონებაში ჩაცვივნულან, ასეთს მონებაში, რომ კელის გაძვრა არავის შეუძლიან უოსმალოთ. კახეთი ხომ ეს არის, ოსმალ—ლეკის ჯარი გაღმა მხარში და ქიზიყში ჩამდგარან და ჩჳენ საუბედუროთ, ის ჩჳენი გლეხნი იმათ აჰყოლიან, აქ რაღა დარჩა, რომელი მხარეა საქართჳელოსი, რომ იმითი აღვადგინოთ კიდევ საქართჳელო? ეს თელავის მხარეც ხომ სულ სიმაგრეებში და ციხეებში დახიზნულან; აბა ახლა რას იტყვთ, ამ უბედურობაში გაბმული საქართჳელო, ვითღა წამოვაყენოთ? (ყველანი ღრმას დუმილში ჩაცვივიან და ბოლოს თავს აიღებენ )

რევაზ ვითღა უნდა წამოვაყენოთ? თავები წყალში უნდა გადვიყაროთ, ამისმეტი ღონე აღარა გვაქჳს.

ომან. ნეტავი იმ თავ და პირველ დედის ჩემის მუცელში გავწყალებულვიყავ, ეს კმები კი არ გამეგონა ქართჳელების.

გივი რად იწყენ თავს ბატონი შვილო, დახიზნულსა კახეთის ჯარსა მოვკრებ, მთების ჯარებიც ხომ ჩქარა გიახლებიან, იმ ჯარებით გაღმა მხარში გავალ და მასუგან, რაც ღჳთის ნება იყოს, ის მოხდეს.

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გივო, გაღმა მხრის კახელები ასეთს მდგომარეობაში არიან ეხლა, რომ თჳთ ისინი გვეომებიან და აღარ დაცლიან უცხო შემოსულსა თესლსა. აბა ახლა გავშინჯოთ:—ქართჳელმა რომ ქართჳელი მოკლას, ჯერ მე დაგიმალებ?—მერე ან მომავალი ჩჳენი შჳლის შჳლები რას იტყჳან ჩჳენზე?—ასე იტყჳან; მამულისაგან ნიშნის მოსაგები იგინიო.

ბესარიონ. ჩემო ჴელმწიფევ! მაინც აქამდისინ გაღმა მხარში დავეხეტებოდი და გევედრები ნება მიბოძო ეხლაც წავიდე, კიდევ დავიბანო ჩჳენი მტრების სისხლით ჴელები.

ირაკლი. მაიცადე ჩემო ბესარიონ ბევრი გაჭირებული ამბავი გვიძევს წინ

სარიდან. ღმერთი გადღეგრძელებს, ჩქარა წავიდეთ საომრათ ამ შაოსანს დედაკაცს რომ უყურებ, სული მელევა აგებულობაში ამის შაოსნობა საქართჳელოს ძამების ჩაცმაა ბატონის შჳლო.

ირაკლი. საყვარელო სარიდან, ეს უნდა კარგათ იცოდე, თუ ავჩქარდებით, აჩქარებით ვერას გავაკეთებთ, დამშვიდებით კი მალე, მაშასადამე მოვითმინოთ კიდევ

ერთპირად გვიბძანე მეო მეფისაო ერეკლე, მაშ რა გნებავს

ირაკლი. (წამოდგება და სხვანიც ეგრეთვე) იმათ, იმათვე უნდა იზღვიონ თავი, იმ შემცდართა ქართველებმა. რომელნიცა გაუდგნენ თავის მამულს გაიცონე ოსმალური ტანისამოსი ჩაუცვამთ თურმე, ქიზიყ-გაღმა მხრელთა, შესაძლიმელი კაცის ტანისა ის უგვარისი განსხვავრ-

ეზული ტანისამოსი თჳთ იმათვე უნდა მოიტანონ აქა, აქ ჩუ̂ენ თვალწინ, ამ თონეში ჩაყარონ და თჳთონვე წაუკიდონ ცეცხლი მაშინ დავიჯეროთ, რომ კიდევ დაგვიბრუნდნენ ისინი, თორემ მანამდისინ ნუ გვენდობით იმათ.

გივი უცხო და გონიერი სიტყვა ბძანე ბატონი მჯულო. მაგრამ მაგას რაღა შეუდგეს?

ირაკლი ჯერ ღმრთისა შემწეობა და მასუკან კაცის სიმხნე. ჩემო მოჭირნახულე გივო, შენ და ბესარიონ გაღმა მხარში უნდა გახვიდეთ, და თქ̂ჳენ ქიზიყში ჩახვიდეთ რეკაზ, ომან უფროსი კაცები შჳმოიკრიბეთ, იმათ შუაში ჩადექით და ჰკითხეთ: რა ჰქნეს, რად გაუდგნენ მამულს? — ყოველს შეცთომილებასა შეცთომილება ჰქჳან, მაგრამ რა გვარს შეცთომილებას? გზაზე მივიდოდა კაცი, გზა შეცდა, ესეც შეცდომილებაა. ტყვე გაყიდა კაცი, ვაი სირცხვილო, ამისთანა კაცსა სიტყუა როგორღა უნდა უთხრან? ამისთანა კაცი ასე უნდა მოკვ̂დეს, რომ თავის სიცოცხლეში და სიკუ̂დილის დროსაც ჴმა არავინ გასცეს სასჯელი მოღალატეხი ეს არის ნამეტნავად მამულის მოღალატეს რა უნდა მოუვიდეს? არ უნდა იყოს საზღვარი, როგორ გარდახდეს იმას? ახლა წადით, ჩემაგიერ უთხარით იმათ, თუ ერთი წამის უფიქრელი შეცდომილება იყო მიეტევებათ, თუ განძრახვით და ნუღარ მოვლენ ჩუ̂ენთან ეს არის ჩემი სიტყუა და სიმტკიცე ჩემის ხასიათისა.

გივი წავალთ და წაგვყვება სიტყუა ესე, იმათ დასაბრუნებლად. (და გავლენ გივი ბესარიონ)

რევაზ. მაგ სიტყვების შემდეგ ჩოქით წამოვლენ ბატონიშვილი.

ომან არამცთუ წამოვლენ, იმედი მაქჳს იქვე გადუწყვიტონ საქმე თავის მტრებსა (ესენიც წავლენ.)

ირაკლი. )მასუკან მობრუნდება სარიდანს) მე და შენ რაღა სარიდან?

სარიდან ჩემი თავი თქჳენ სანაცვლოდ.

ირაკლი მოითმინება კიდევ და შენ სარიდან, შენ უნდა დახიზნულებთან წახვიდე. იმათ შემოუარო და უთხრა ყველას: ქართჳელს არ ეკადრება დამალვა, ქართჳელო ხმალი, წინ გვიდგას მტერითქო. ყველანი სახლებში ჩამოვიდნენ, ნუღარ ეშინიათ და თავ გაცათ კი აქ მოვიდნენ ჩემთან ჯარად. გინიცობაა თუ გაღმა მხრელებმა უარი გვითხრეს, აქედგან გაუძღვები ცეცხლში ჩჳენს ჯარს და კიდეც შევაძრწუნებთ იმათ.

სარიდან ვინც თქჳენს სახელს გაიგონებს, ნამეტნავად თხუთმეტის წლის ბატონიშვილისაგან ამ ამბებსა, ყოველი ქართჳელი შენ წინ მოკჳდება ძეო მეფისაო. (თავს დაუკრავს და წავა ის რო წავა იოანე ბერი შემოვა და მოასსენებს.)

ბერი იოანე, ოსანა კურთხეულო, მოვლენილო ვითა ზეცით. თავს მოვიდრეკ წინად შენდა ირაკლი!

ირაკლი. და მეც თაყვანსა გცემ მამაო ამბორებით. (მივა, ისიც ჯჳარს დასწერს და ირაკლიც ჴელზე ემთხვევა.)

ბერი იოანე. ალავერდელი ცოტად შეუძლებლობს, სარეცელზედა ზის და თქჳენ მიგელისთ მოუთმენლად.

ასწრაფეთ წამობძანება, რომ წმინდის ლოცვით გაგუროხოს. ვინაჲდგან დიდრონი განსაცდელები გიძევსთ წინ.

ირაკლი. გამიძეხ და გამოგყევი მამაო! თამამად მოგსულვარ და თამამად შევალ განსაცდელში, ნამეტნავად იმისი წმიდა ლოცვა უფრო განმამტკიცებს მე. (ყველანი წავლენ. ესენი რომ წავლენ, სარიდანის ცოლი მელანია შემოვარდება გაშფოთებული გიჟსავით.)

მელანია. (შემოვა და დაიძახებს), ვის ებრძვის გული? ვისთჳს კვდები თაო ჩემო? — ჩემო ჩრდილო სიყვარულო ჩემი მკლების გამომხვრელო, ხომ ბადესავით გაწრჩილე ჩემი სრული აგებულება და ჭრელი გველი ეკლაკნება იმის სანათურებში აქა იქ. საწყალო გულო, შენსა შემწეს სულსაც გველი აუღია შენზე და წვრილ კბილიანი თაგვი მოკბარვია და უკანასკნელსა შენსა საფუძველსა მოთხრის თავის ფესვებით. ახ! ჩემო სარიდან! (თავს მოიგლეჯს, თმებს ჩამოიწეწს და მასუკან გამოექანება.) ჩემო სარიდან, შენ რომ მითხარი? აბა ის შენი მორთული კუბო სად არის? საწყლად ავტირდე და ზარი გამართო ვაიალებისა, რომ ყველამა თქუან: რა კარგი ტირილი სცოდნია საცოდავს მელანიას და რად მშუჳნივრად იგლოვსო თავის სარიდანს (მივა შუაში დაიჩოქებს და თვალებზე კელს მოისომს) ღმერთო! არ ვიცი რა ამბავია, სად არის სარიდანის კუბო? ეხლა ეს იყო, იმისი კუბო ზარის გალობით მოჰქონდათ ერთსა დასსა ქართველებისა, ომის ცეცხლში გამოვლილთა იმათ და ფრანგის საკინძი ჩამოეწყვიტათ ყველას ის კუბო რა იქნა, იმ ჩემი სიცოცხლის კუბო? უთუოთ ეკლესიაში

ვასვენებდნენ. (მივა ეკკლესიის კარებთან დადგება გაუ-
ბედავათ) ყურსა გიგდებ დიაკვანო, აბა როგორის ხმით
შკითხავ სარიდანის მკვდარს დავითის ფსალმუნებს?
(ყურს დაუგდებს და მას უკან კიდევ) არაფრისთანა ხმა
რომ არ მოდის, ეტყობა დაბლის ხმით კითხულობს ის
ხმა გასაწყვეტი დიაკვანი. სარიდანის მზემ შემოგალ და
შენს კუბოზედ თავს მოვიკლავ ასე გგონია ჩემი სიყვა-
რული ადვილი იყოს, ქართველი ქალის სიყვარული? ზა-
რემ ამ ეკკლესიის კარები გავაღო და ჩემი საქმე გადა-
ჰწყვიტო ჩქარა: ჩემი ტანჯვის შესამოკლებლად ასე
სჯობია. (და საჩქაროთ გააღებს, გაღებასთანავე ასეთი
ხმით დაიკივლებს, რომ ეს ეკკლესია დიდს ეხას მისცემს,
ასეთს ეხას, მართლა ძლიერს) ვაი ჩემს თავს! (და გულ-
აღმა გადაიქცევა გულ შეწუხებული. შეხედვენ ნახვენ რომ
ეკკლესიის საყურთხეველის კარები ღიაა და ტრაპეზზე
აქეთ იქით კელეპტრების სანთლები ანთია ორი. ამის
დაკივლებაზედ ამის მუახლე ვარდუა შემოვარდება გაშფო-
თებული.)

ვარდუა ქა გენაცვა, ჩემი ქალბატონის ხმა იყო ეს
კივილი. ყოველს ჩემს გულის ძირში, იმის მომცრო
დახმაურებაზე, მაშინვე წამოვხტებოდი ხოლმე და ეხლა
ეს კივილი რას დამმართებდა, რაც უნდა გულით მძინე-
ბოდა?? ყურში გამძახა მაყარ თოფსავით. (მოვა და ღია
კარებში ქალბატონს რო დაინახავს გულ შეწუხებულს,
დაიძახებს.) ვაგლახ ვარდუავ შენ, ახ! ჩემო ქალბატონო
სიყვარულის მსხვერპლო, რა მოგვლენია? (მივა მოუჯდე-
ბა და კალთაში ჩაიწვენს. ამ დროს ბატონიშვილი ირაკ-

და მოვა ჩქარა და თავზე დაადგება)

ირაკლი. ეს საზარელი კივილი ვისი იყო მანდილოსანო, რომ ჩემს ოთახში, ისე მოშორებულს ოთახში, დაიწივლა ვით ასპიტმა?

ვარდუა. თქვენი სულიერის დის კივილი იყო ბა... ნიშვლო.

ირაკლი. რა ამბავია, მითხარი?

ვარდუა. ჯერ არც მე ვიცი თქვენი ჭირიმე

ირაკლი. მაშ წყალი მოვარბენინო. (მობრუნდება და იქვე კედელთან ლიტრას მოუტანს (აჰა აპკურე მოასულიერე საცოდავი (აპკურებს და თვალებს გაახილებს.)

მელანია. იჰ, რა ამბავია თქვენი ჭირიმეთ!

ვარდუა. გონებაზედ მოდი და დაინახავ რა ამბავია.

მელანია. ჩემო საყვარელო ვარდუავ, შენა ხარ?

ვარდუა. მე ვარ, მაგრამ გადმოიხედე ვინ გადგას თავზე?

მელანია. (გადმოიხედავს) შენამც გენაცვლება ჩემი თავი ჩემო ძმაო ირაკლი, რომ აქ ბძანდები ჩემთან, ჩემს სანუგეშოთ (ირაკლი მიეშველება წამოაყენებს, მარჯვნივ ირაკლი დაუჭერს ქელსა და მარცხნივ ვარდუა.)

ირაკლი. მე გაშტერებული ვარ ჩემო დაო, შენ თავს რა უთავა მოსულა, მითხარი.

მელანია. შენი ჭირიმე ძმაო! ჩემი სარიდანის კუბო მაჩვენე ჩქარა, თუ ჩემი ბედნიერება გინდა (და მწარედ ატირდება.)

ირაკლი ქალო რას გაცეტებულხარ? შენი ქმარი, სადაც არის, ეხლა აქ მოვა, თუ არ დაიჯერებ, აი ეს იმისი

წიგნი (გაუშლის აჩვენებს) იმისი ჴელია თუ არა?

მელანია. თქვენს მზეს ვფიცავ იმისი ჴელია, ოჰ, ჩმ დღობ ღმერთო!

ირაკლი. შენმა ქმარმა დიდათ დაავალა ქვეყანა, ერთი თვის საქმე ამ სამს დღეს აღუსრულებია, ისე როგორც მე მინდოდა. მაგრამ მითხარი, რა მოგჩვენებოდა, ისე გაგიჟებული იყავ წეღან?

მელანია. ამ ღამეს გიახელ აქა და ამ ეკკლესიის მიროში გადავხტი გარეთ ჩემის კერძობით, ამაღამ რომ არავინ შემეწუხებინა, იქვე დავიძინე, ამ დროს ჩემი სარიდანის კუბო გამომიტარეს წინა და გიჟსავით დავედევნე უკან. აი ეს მამეჩვენა ჩემო ჴელმწიფევ!

ირაკლი, ოცნებით სავსევ, შე მოკლე სულო? ყოველს სიზმრის ნახვაზე, კედელზე უნდა გაიგდო თავი? ან ამ ეკკლესიის კარები ვის გაუღია?

მელანია, მე გავაღე და ის ანთებული კელეპტრები რომ დავინახე, სარიდანის კუბო მეგონა.

ირაკლი აქ წამოდი ჩემთან, (მიიყვანს ეკკლესიის კარებთან,) აქ დაიჩოქე და ჩემთან ერთად შევევედრე იმ წმიდასა დაგებულსა ტრაპეზსა, ვეგულმტკივნეულოთ ჩვენის სათხოვრისათჳს, აი ეს უნდა იყოს ჩვენი ფიქრები და არა შენი, რაღაებიც რომ წარმოგიდგენია, (დაიჩოქებენ) სიბრძნით დადგენილო ტრაპეზო კათოლიკობისათჳს შენს უწმინდეს ტრაპეზს, შენს საიდუმლოს სისხლს ხორცზედა მტერი შეთქმულა დასცეს იგი შენი ესე ქვეყანა ყოვლის საზიზღრებით შეიბღალა იმათგან, ესეცა სურთ უგანასკნელ. ქალწულ მოწამეთა შორის უპატიოს-

ნებისა მჯლო და ზეცისა ღჳთაებისა მეო! შენის დედის გვერდის წილსა ქჳჱყანასა ნუ გაჰყიდი მძლავრსა მტერზე, იმ ღჳთის მტრების ჴელისაგან გამოგვიხსენ და შენი ზეციური რტონი გადმოაფარე ამ სამშობლოს შენს ქჳჱყანას. ახლავი მიგუ[illegible]ეთ ეკლესიის კარები და შენც თავი დაიხურე მელანიავ. (თაყვანს სცემენ, მასუკან ადგებიან, მელანია თავს დაიხურავს და კარ დუაც ეკლესიის კარებს მიხურამს. ამ დროს სარიდან შემოვა უცხოთ დაიარაღებული, მელანია რომ დაინახავს დაიძახებს )

მელანია. ქა შენამც განაცვლება ჩემი თავი, (გაექანება და ყელზე გადაეხვევა )

სარიდან ქალო, წარმოიდგინე აქ ვინ ბძანდება? მორიდება გმართებს, უზდელობა არის.

მელანია. ვიცი ჩემი სულიერი ძმა მამიტევებს.

ირაკლი. დაეხსენ სარიდან, დიდათ მამწონს მაგისაგან, მაგისთანა სიყვარული შენი.

მელანია (და გულში ჩაეკონება მელანია სარიდანს, მასუკან მოშორდება ) ახლავი მოახსენე რაც იცოდე სარიდან.

ირაკლი. სულ არ მეგონა, დიაღ ჩქარა აღგისრულებია ჩემი ჩაბარებული საქმე ჩემი მადლობა ცოტაა. ვინც აგრე ემსახურება მამულს, იმისი სახელი საქართველოს მატიანეში ჩაიწერება, კარგო სარიდან.

სარიდან. არა ჩემი ცდით იყო, შენმა ბძანებამ არწივის ფრთები შემასხა ბატონი მჯლო და სწრაფათ მოვიარე ყოველი მხარე.

ირაკლი მერე ვინ რა გითხრა?

სარიდან იმ დახიზნულებმა და დალონებულთა, თქჳჱ-

ნი სახელი, თქუჱნი ამბავი რომ გაიგონეს, თავი აიღეს მაღლა, წელში გაიმართნენ, მკლავები გაიჭიმეს და მტ-რის ჯავრითა ზმორება დაიწყეს—მამული გამოიხსნან ჩქარა მაშინვე იმათი ხიზანი სოფლებში გაიფინა და შეუდგნენ თავიანთ მამაპაპის ცხოვრებისა წესსა (ამაზედ ირაკლი ატირდება და მასუკან ბაღდადის ხელცახოცით თვალებს მოიწმენდს.)

ირაკლი. ნუ დამძრახავ სარიდან, უმაწჳლი ვარ და სი-ამოვნით ვტირი. ნუ გეგონება ჩემის სახელის გამოჩე-ნისათჳს ვტიროდე. არა, ქართველები ისევ ქართველები ყოფილან. თავიანთ მამაპაპის გვარისებური და კიდევა სწყურთ საქართველოსათჳს სისხლი დაღვარონ, მაგრამ ბოლოს რა მოხდა?

სარიდან. ქუდზე კაცი წამოვიდნენ ჯარათ და ოცდა ათი თავად აზნაურნი დაწინაურდნენ თქუჱნ წინ თაყვანის საცემლად; პირველს იმათს ჰქვიან ასლან.

ირაკლი (სიხარულით,) მერე სად არიან ისინი?

სარიდან. ეხლა აქ გიახლებიან ბატონიშჳლო.

(და კიდეც შემოვლენ კარგად შეჭურვილნი. მივლენ და ქალთაზე შეემთხვევიან ირაკლის, ერთი იმათგანი ხნიანი.)

ასლან. ვმადლობ ღმერთსა, თქუჱნი პირის ნახვა გვა-ღირსა კიდევ ჩუჱნკენ მოიქცა ზეცა, კიდევ თავის უხვის მოწყალებით ძეო მეფისაო.

ირაკლი. მეც დაგპირდებით, თქუჱნთან სისხლი დავ-ღჳარო ჩემი.

ასლან ვინ რომელმა ქართველმა უნდა გაკადროს ეგ შეწირვა ბატონიშჳლო! ჯერ არს ჩუჱნი სისხლი თქუჱ-

ნის უვნებლობისათჳს.

ირაკლი. არა, პატივცემულო ასლან მეც თქჳენი ძმა და თქჳენი მხარის მოამხანაგე. მაგას თავი დავანებოთ, ახლა ამის ანგარიში მითხარი: როგორ გგონია, რავდენი ჯარი გამოვიდოდა დახიზნულებისა თქჳენი?

ასლან. შჳდი ათასი მეტი გახლდება.

ირაკლი შჳდი ათასი ქართველი იმალებოდა? შჳდი ათასი ქართვლის ჯარი ორმოც ათასს მტერსა დაამარცხებს ასლან.

ასლან, შენი ჭირიმე ბატონიშჳლო! უმწყემსოს ცხვარსა ნადირი შესჭამს მაგრამ ახლა აღარ ვსწუხვართ ქართველები; კარგი ქართველების მწყემსი გადმოხვედი ფშავის მთებიდგანა და ეხლა ჩჳენ ვიცით, როგორც გავიშლებით სათიბებზედ მომთიბლები.

ირაკლი. მაშ წავიდეთ დანარჩენნი ჩემს სენაკში მოვილაპარაკოთ (გავლენ, აქ დარჩება სარიდან თავის ცოლით და ვარდუა.)

სარიდან. ქალო მელო, წელან რა იყო შენს გაზდას, ისე უზდელად მოიქეც? მერე ვისთან? ჩემს ბატონი შჳლის წინაშე.

მელანია ნუ გეწყინება შენი ჭირიმე. ჩემო თვალის ჩინო, არ იცი რა გადამხდა თავზე.

სარიდან უთუოთ უმაწჳლობა.

მელანია. ძილში შენი კუბო წინ გამამიტარეს და გიჟსავით დავედევნე უკან. თუ ირაკლი ბატონი შჳლი და ეს ვარდუა არ შემწრებოდნენ, მოვკჳდებოდი.

სარიდან. აკი ვთქვი, უმაწჳლობა, შენი სულისა ჩემო

სიცოცხლევ, წადი მამასჳჱნე, ნუღარ მამაყოლჳბ კიდევ·

მელანია. უსამართლოვ თჳთ რჯულობავ, ნეტა რა ხარ? სიტყჳა აღარ უნდა გვათქმევინო, ამისთანა ჭირი იქნება? (ტირილით წავა და კარდუას გაჰყვება.)

სარიდან. (მიხედ მოხედვის შემდეგ.) გამწარებულო ანუ ტკბილო სიყვარულო. გაგაშასებულო ანუ დამშვიდებულო სიყვარულო. ბედნიერო ანუ უბედურო სიყვარულო.—ამათში რომელი ხარ? (ჩაფიქრდება და მასუკან კიდევ) განა სიყვარული! სიყვარული უბედური? რომელს სტრიქონზე დაწერილა ეს უბედურება? მეშჯდეს ზეცის ეტრატზე, რაზედაც შავის კალმით დასხმულა ეს ასოები, ჩემი და ჩემი მელანიასი: უბედურება!—საწყალო მელანიავ, არ ვიცი შენ უფრო საწყალი ხარ თუ შენი სარიდან, სიყვარულით მელანიავ, ამის მეტი არა გვეშველება; მე მამულისათჳს მოკჳდები და შენც მე შემომიდგები უკან. ასე მითქჳამს გული, ვიყჳნეთ ბედნიერნი მამულითა და ჩჳჱნ ერთმანეთის სიყჳარულით უბედურნი, რა უყოთ რა ვქნათ, ჩჳჱნის მამულისათჳს ასე სჯობია. (და საჩქაროთ წავა. ის რომ წავა ბერი იოანე შებოვა.)

ბერი იოანე. წავიდე ეკლესია მოვამზადო, ამ ცოტას ხანში საცოდაობას ვნახამთ. (შევა ეკლესიაში და კარებს მიიხურავს. ამდროს ირაკლი და სხვანი ყველანი შემოვლენ.)

ირაკლი ამ ხუთ დღეში თითქმის იმედი გადვიწყვიტეთ, ახლა წინა კაცი მოიჭრა, გვითხრა: გიახლებიანო. აქ ეკლესიის კარებთან დავხვდეთ, აქ შევიტყოთ რა ამბავსა მოგვიტანენ?

ასლან. აქ სჯობია, თუ საჭირო იყოს აქავე გავიფი-

ცნეთ. (ამ სიტყუასთანვე გივი, ბესარიონ მოვლენ და თან მოჰყვებიან ოსმალურათ ჩაცმულნი ქართუელები ამათ თან მოჰყვებიან რევაზ—ომან და კიდევ ოსმალურად ჩაცმულნი ქართუელები ეს ოსმალურად ჩაცმულნი ირაკლის მუხლებზედ მოეხვევიან და ჴელებით სთხოვენ )

ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები. ჩუენო ხელმწიფეო! ღმერთს აპატიე ჩუენი დანაშაული თუ არ გვაპატიებ, სვინიდისი მოგვკლავს თქუენს მზეს ვფიცავთ. გვაპატიე შენი ჭირიმე, ქართველურმა გულ წრფელობამ შეგვაცდინა ძეო მეფისაო

ირაკლი მიპატიებია, მაგრამ რა ამბავი მოგვიტანეთ?

(გივი წ ნ წამოდგება )

გივი პატრონი მეფეო! უცხო ამბით მოვედით, მაგრამ ჯერ ეს მოისმინე რევაზ—ომანს და ჩუენ ხშირი მიწერ მოწერა გვქონდა ერთმანეთთან საიდუმლოთ და დიდ კარგად მოვიყვანეთ საქმე, არამც თუ მტრებს გაუდგნენ ესენი—სულერთიან გარეკეს და გააცილეს საზღვარს.

რევაზ. ასე რომ იმ ჩუენი მტრების კვალიც აღარ იპოება ჩუენს მამულში

ირაკლი. ეგ საქმე ხომ ამათ შეიძლეს?

ომან. ამათ და სხუანი აღარავინ მიუშვეს მტრებზედ.

ირაკლი. ადექით, ამას იქით ჩუენი ძმები იყავით კიდევ

ოსმალურად ჩაცმულნი ქართუელები (წამოცვივდებიან, ოსმალურს ტანისამოს გაიძრობენ და თონეში ჩაჰყრიან ამასთან ირაკლისთან მოვლენ და დაჩოქებულები მუხლებზედვე მოეხვევიან ) ქიზიყ—გაღმა მხარი შეცთომილებას მოგიხდით თქუენ წინაშე

ირაკლი და ჩუენც გიწოდებთ: შენო მამულისანო გვალად (ამ სიტყუასთან თონიდგან ალი ამოვარდება და ესენიც ფეხზე წამოდგებიან ის ტანისამოსები იწვის და ესენი იძახიან)

ქიზიყ—გაღმა მხრელნი. განქრი, განქარდი მაგ ცეცხლსავით ჩუენო მტერო, ღუთის განგებით.

ბატონი შვილი ირაკლი. რევაზ—ომან, საჩქაროთ გვაეშურენით მამაჩემს მეფესთან, თელავში მობძანდეს, იქ დავხვდებით ყველანი. ჩუენი თავ გარდასავალი ამბავიც მოახსენეთ ყუელა.

რევაზ—ომან. ეხლავ გიახლებით, (და გავლენ)

ბერი იოანე (შემოვა შერყეულის გულით) ბატონი შვილო! ინებეთ ეკლესიაში შებძანება, თქუენ და თქუენმა ქართუელებმა ალავერდელმა ჰარაკლისი უნდა გადიხადოს საქართუელოს და ქართუელებისათჳს. მეორეს კარებიდგან შებძანდით რომ აქედგან ალაგ შეისვლება (მაშინვე წავლენ, ხმას არ ამოიღებენ. ბერივე შეუკებით.) ღმერთო დაგვიფარე შენი საფარველის კლდით ქართუელები. არ ვიცი რა დანაშაული მიგვიძღვის შენ წინაშე ქართუელებსა, რომლის ცოდვით გაწყენინეთ შენა? სინანულო, სინანულო! რით ვერ მოინახე, ავდენი ჩუენი მწარე ცრემლით, ავდენი ჩუენი გლოვის ვედრებით ცოდვა ჩუენი, თუ აქუსთ ქართუელებსა? აი ეხლაც ვნახამთ, ჩუენს სინანულს და როგორს სინანულს? აბა თავი შეიმაგრე ბერო იოანე? (გულხელ დაკრეფვით, ძალიან დაღონების შემდგომ.) არა, არა. მე აქ ველარ დავდგები საცოდაობით, ვერა ვნახამ ამოწყუეტილთ სახლეულობათა (და გიჟსავით გავარდება

კარზე ამ დგოს ეკლესიის კარების სრული კედელი, ესე იგი ფარდა უეცრად გადიწევა, ნახვენ რომ მთელი ეკლესია განათლებულია წმინდა სანთლებითა, საკურთხევლის კარები ღია, ტრაპეზზე სანთლები ანთია ბრწყინვალედ, შუა ტრაპეზზე დიდი ჯჳარცმა ასვენია, საკურთხევლის გარეთ ამბიონზე ალავერდელს დაუჩოქნია პოროფირ წამოსხმული კელ გაპყრობით, ამის გვერდით ცოტა უკან ირაკლისა აქეთ იქით ამბიონის ქვემოთ დაჩოქილნი არიან მწკრივათ სახლეულ ამოწყვეტილნი კაცნი და დედაკაცნი, ხნიანი და ყმაწვილნი. ერთს მხარეს დედანი შავ ჩაცმულნი არიან და თავი მოხდილი აქჳთ თმებ გადმოშლილი მხრებზე, მეორეს მხარეს კაცებს პერანგის საკინძი ჩამოუწყვეტიათ და გულისპირი გადმოფენილი აქჳთ მარჯჳენას მკერდზე. ესენი სულერთიან კელებ გაშლილი ჯჳარცმას უყურებენ დაღონებულები. ამათ უკან აქეთ იქით ირაკლის ქართჳელებს დაუჩოქნიათ იმათ მზგავსებრივ, და გალობასა აუშვებენ სულერთიან ამას.)

სულერთიან განგებაო! აკი შენი გული ზღვაჲ არის კეთილისა და სამსჯავრო მართლ მსაჯულებისა უძლიერესო დიდებაო! ცისა შემძკალული ესე ღაღადება, ესე ჩჳენი ცოდვის სინანული შეიწყნარე, ვითარცა შეგიწყნარეები ჩჳენთა უძჳელესთა წინაპართა დედმამისა, ეგრეთ შეიწყნარე ჩჳენი ესე და აღგვიხოცე ჭეშმარიტებისა მტერნი ისინი, ისი გამძვინვებულნი, ისი უსამართლონი. დაამხე, დაამხე ცოდვა ჩჳენი, აგმარე ავდენი დევნულება ქართჳელებსა. (ფარდა ჩამოეშვება.)

დასრულდა მეორე მოქმედება.

# კავკასიის ჰატიმარი.

(პუშკინით.)

ჩერქეზნი, ძენი კავკასიისა, სხედან მოცლილნი სადგუ-
რად თჳსად,
სტკბებიან ველურთ ნარნარებითა, ჰყუნ შვებას რაცხენ
ღუთაებად თჳსად.
აქებენ ცხენთა, კვირცხლ ხტომად მათთა, საჭურველთ
თჳსთა მძლეველად მტრისად,
ემზადებიან საომრად წასვლას, თუალთა აქცევენ უწყვეტ-
ლად გზისად.—
რაოდენ ჭაბუკ ქალნი და კაცნი უწყალოთ ჩერქეზთ
ტყუჱთა უპყრიათ,
თვალ გიშერ მშუჱნნი, წამწამ წყობილნი, ალვისა ნორ-
ჩნი დავლად უდიათ.
ზოგნი წონითა ოქროჲსათა, პატრონთა თჳსვე უგუნ უციათ,
ზოგნიცა მშუჱნნი ვით ანგელოზნი, მძვინვარეთ მხეცთა
მსხუჱრპლად შთომიათ.—
მზგავსად ამისა ერთმან ჩერქეზმან მორაიყვანა ტყუჱ
მშუჱნიერი,
რუსი ჭაბუკი, წარბ წამწამ ქერა, გმირ ტანოვანად კელ
ღონიერი.

მოსტყორცნა ცხენით ალაგსა ზედა, უქმნჳს ბორკილი
მაგრად ძრიელი,
ესრედ მინდორთა ცხვართ ფარათ შორის, ეგდო საბრა-
ლოდ სრულად მშიერი.—
ოდესცა წყალნი მშჳდნად მჩქეფარნი, სიმაღლისაგან
გავკასიისად
მქუხარეობდენ შორის ყრუთ კლდეთა, აღწვდილთა მაღა-
ლად ცისა ღრუბლისად,
მდუმარე ჰყოფდენ ყოველს ბუნებას, საშუალ უფსკრუ-
ლთ ყრუსა ღამისად.
მაშინ ჭაბუკი პატიმრად ქმნილი, უწოდა უფალს დამხსნე-
ლად თჳსად.—
ამა საათსა იდუმალ მყოფსა, შეესმა ჩქერა ჩუმად ფეხისა.
წარმოუდგა წინ ქალი ტან სარო, მშჳენებით მსგავსი
ბრწყინვალეს მზისა,
რჯულით ჩერქეზკა ათორმეტ წლისა, მუხლ მოდრეკითა
მონებად მისა,
შესწირა თავი მან დაჩაგრულად, არ აქჳნდა რიდი მუნ
სირცხვილისა.—
ჰრქჳა» პატიმარო, ეჰა მოვსულვარ შესაერთებლად
შენად სულისა,
მოგეც სრულიად გული ჭაბუკი, მკურნალება ვჰყო შე-
ნის წყლულისა.
მიმიღე სატრფოვ მე შენად მონად, ჰყავ აღსრულება
წმინდის სჯულისა,
მით დამიშრიტე ცეცხლი მგზებარე, ნაკადი ცრემლთა
ვითარცა ზღჳსა.—

ვფუცავ ვეგები შენსა არესა, ესრედ სარწმუნოდ ყრუდ მდებარესა.
სიცოცხლეს დავლევ შენი მჭკრეტელი, სიკჳდილს მივიღებ შენზედ მწარესა.
მე მიწოდებენ მკაცრ უმაწჳლ ქალად, კავკასიისა მთის მშჳჲნიერსა.
ბროლ მკერდნი ჩემნი არ შეჰხებიან, ჯაბუკს ჩერქეზსა თჳალ მშჳჲნიერსა —
მშობელი ჩემი და ძმა უწყალოთ გაყიდულს მყოფენ უგვანს ჩერქეზზედ.
იღებენ წონით ოქროს და ვერცხლსა, უებრად მშვენსა გლახ ჩემსა თავზედ.
მე მათ ვჰსთხოვ ნებას, ცრემლ დანთხევითა სასურველს ჩემდა შენსა ქრმობაზედ,
არ მცემენ ნებას თავს მოვიწამლავ, ან დავჱხევი ბასრსა დანაზედ —
ჰე პატიმარო რად მჭმუნვარეობ? მხიარულ ჰყავი სახე შენი,
მოსდრიკე თავი უბესა ჩემსა, მუნად იპკარი ძუძუნი მშჳჲნნი,
გიყჳარდე მარად მე შენთჳს მკჳდარი, არღა მდიოდნენ გლახ ცრემლთა ღვარნი,
ჭირნი მიცვალნე სიკჳდილმე ლხინად; და მით განმიხვენ ვნებისა კარნი —
ესრეთ ჩერქეზკა ყოვლის ღონითა და ყოვლის ძალით ეტრფოდა მასა,
უმღერდა მარად გალობას ტკბილსა, საქართჳჲლოსა სიმღერათ კმასა.

ჰსჭვრეტდა მარადის თუალ უფსკრულად, მას შესწირავდა
თჳსს სულის დგმასა,
ტკბილ ამბორებით და ტკბილ შვენებით უალერსებდა მას
ყოველს ჟამსა —
პატიმარმან ჰრქუა ჭაბუკსა ქალსა, ნუ ღვრი ჩემთჳს
აწ გლახ ცრემლთა ღვარსა
ნუ კარგავ დღეთა, მჴრფვასთა მშუენთა, წარკედ უწოდე
სხუს საყუარელსა.
იგი პატივს გცემს შენ უბრალოდ მშუენს, იგი დაგიშ-
რეტს სახმილსა ალსა.
გაჰკურებს ნექტარს სასმელად მტკბარსა, ბულბულებ და-
გმღერს საამოს კმასა. —
მე ვარ უბედურ არა ერთგზისა, ვითარცა მხედავ
პატიმრად ჰქმნილსა,
აქ ხორცით ვჰმტყუელობ მრავალ ტანჯვათა, გული სხუას
აქუს ტყუჵდ ვისთჳს ცრემლ მდისა,
მას ვეტრფვი მარად, მას წარმოვიდგენ, ვითა აფროდიტს
ბრწყინვალეთ ჰქმნილსა
შევსწირავ თავსა გულსაცა სრულსა, და უკანასკნელ სუ-
ლს ჩემსა ტკბილსა —
ესრეთ სატრფოვო მიტევე აქა, ამა ბორკილსა შინა
ჭედილი,
მინდორი ესე მექმნას საფლავად, მუნ დავსდნე ვითა ცვი-
ლი თბობილი.
მკალნცა ჩემნი შესჭამოს ჯაჭუმან, ნაცრად აქციოს ვითა-
რცა ფქჳლი,
მშჳდობით! მომეც კელი სალმობად, აღარა გდიოდეს ჩე-
მთჳსა ცრემლი. —

ესმა რა ესე ჩერქეზკას მიეცა ცეცხლთა დებასა
გულსა სევდან მოესხნეს, მიხჳდა გონების კლებასა.
უსულოთ მდები შთავარდა, საყჳარლის კელთა ხებასა.
ფერ მიხდით მკჳდრად მდებარემან, თავი მიუპყრა ვნებასა.
ხანსა რასმე იყო მკჳდარი, ვით უსულო შეუძვრელად.
მხილველთათჳს სამტირალოდ, სევდის კარის აღმზღუდველად
მერმე ოდენ მოხდა ცნობას, სატრფოთ ბაგეთა აღმძჳრელად
და დაიწყო საუბარი ქჳათა თჳსცა აღმტირებლად —
ვაი ჩემდა! პატიმარო, არ გიცოდი გული შენი,
საუკუნოდ შემოგწირე გლახ ტანჯული სული ჩემნი,
მცირედ რაჲმე გლახ ჩემდამო განკატარენ ტკბილნი დღენი
არღა მოვლენ ვა ჩემდამო მხიარულებისა მსენი —
სისხლსა შენსა არცა მცირე არ ჰქონია მჴურვალება,
გულსაც გიპყრობს შეურყეველად უსულოს ქჳს ძლიერება
ვით არ შეკრა სიყჳარულმან არ აღგიგზნო ცეცხლთა დება,
მე უარ ვყავ საუკუნოდ მით მომაგზე სახმილთ დება —
შენ ჰხედავდი, რომ სიცოცხლე ჩემი შენზედა სრუ-
ლდების.
მრავალგზის სული ვნებული, ოდენ სულს შენსას ეტრ-
ფობის,
შვება, სიმდიდრე, განცხრომა, ყოველი რადგან მიჩნდების,
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაჲ რა ძნიად ეგების —
მაშ უწყალოვ რისთჳს მიქმენ მეისად პირის პირ უარი,
არ მიიღე შენდა მსხჳერპლად ქალწულება ჩემი მტკბარი,
არ მაჩვენე პირ მთნეობით სიყჳარულის კავშირთ კარი,
მითი მცირედ არ მაცოცხლე, აწ სოფლისგან გარდამხდარი.
მე ვიქნებოდი ღამე დღე, მონად მსახური შენი,

ფარვანებრ თავსა მკლებელი, შვების მომცემი მე შენი,
ტყვეობის დამვიწყებელი ჭმუნვარეს გულის მლხენი
ვაი დავკარგე სატრფოვო, მე ვით არცალა მლხენი.
ესრეთ დაშთა პატიმარი მარტო ჭედილი ბორკილით,
გლახ უპატრონოდ მდებარე შეპყრობილი ჭმუნვით მწარით,
ყრუსა სადგურს იხედების, მოვალსა ვინ ჩემდა ფარვით,
რათა მიხსნას ტყვეობისგან და განმიყვანოს გაპარვით. —
ამა ჟამსა განხდა ხმანი მდევრისა წოდებისანი.
ჩერქესთ, სოფელი დაცალეს, აისხეს აბჯართ ისარნი,
ცხენთა მოახტეს გმირულად, გზანიცა წარვლეს მთისანი.
რათა შეიპყრან და მოკლან მუნ მომავალნი გზისანი. —
მაშინ ჩერქეზკამ აღიპყრა, ცალსა ჴელსა ბასრი ქლიბი,
მეორეს ჴელსა ხანჯალი, მტერთა გულთა შუა მპობი,
წარმოსდგა ტყჳჱსთან ცრემლთა ღვრით, განკვეთა მან
ბორკილები,
რქჳა ესრეთ: აღზდედ და რბოდე, შენის დახსნის გესწრა
ბედი!
მომეც ჴელი შემომიდეგ, სად ვლიდე თერგ მდინარეზედ,
ვერა გვნახონ ჩვენ ჩერქეზთა, ვისწრაფოდეთ მისვლად
ფონზედ,
ესრეთ ჴელ გულ ჩაწდომილთა წარვლეს გზანი თჳსსა
დროზედ,
მრავლის კოცნით მირავიდეს მომქუხარეს თერგის წყალ-
ლზედ. —
ქალმან უთხრა; პატიმარო, ჴა! ხინჯალი იპყარ ჴელსა
მით მოსწყვლიდე მამაცურად, შემომერელსა შენად მტერსა,
განვლე წყალი და განცურდი, იხმარებდე ჴელსა, ფერხსა.

იყავ მშჳდობით ეტრფოდე, საყჳარელსა შენსა მეჳღლსა.—
მაშინ კადრა პატიმარმან, ჩერქეზის ქალს მშჳენიერსა:
მო წარვიდეთ ორნივ ერთად და განვიდეთ ამა ზღჳსა,
დაუტეოთ ესე მხარე განვეშოროთ მის ტანჯვასა,
შევაერთოთ გულნი მარად, სულთ მივცემდეთ ერთად დგმასა.
ქალმან კადრა; პატიმარო! რას მომითხრობ საოცარსა?
ვითღა ძალგიძს ტრფობა ჩემი, ოდეს ეტრფი თჳთ შენ
სხჳსასა,
მე დავკარგე საყვარელი, მით ვნაკადებ ცრემლთა ღჳრასა,
წარვედ ეტრფე საუკუნოდ, ვინ არჩიე ჩემსა თავსა.—
ესრეთ ტყჳს წყალსა განვიდა, შეერთდა რუსთ მხედრობასა,
ჩერქეზის ქალი შთავარდა ამა მღელვარესა ზღჳსა,
თავი მოიშთო განრიდა, უშორეს მზისა ჭჳრეტასა.
ამა სოფლისა ცხოვრებას და კაცთა უპირობასა.—
გარდახდა მისი სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა,
დაშრტა მნათობი ლამპარი, სტუმარი ერთის წამისა,
მიჯნური მსგავსი ტარიას და მისის საყჳარელისა.
მას უძღჳნად მარად ხსოვნანი, მომდენთა ცრემლთა ღვარისა.

თ. ს. გურგენიძე.

---

* *
*

ოდეს მე პირველ ღმერთმან დამბადა,
თურმე ნუგეშათ ეს დამიქადა:
რომე ოდესმე მისის წყალობით
ავყვავდებოდი ყმაწჳლ ქალობით.
გულიც როგორღაც ნუგეშს მაძლევდა,
მალი მალ სევდას განმიქარვებდა,
მეტყოდა ხოლმე როგორც მკითხავი,
რომ შემენახა მე შენთჳს თავი.

თუმცაღა გვიან, მაგრამ კი ახლა,
ეს ნუგეში ჩემთჳს არ წახდა,
თუ არ განგებამ, მაშა სხჳსამ ვინა
ეგ გული მე ვინ დამაჯაჭვინა?
დიდი მფლობელი . . . . მეფე,
მხნე, ახოვანი მტერთა სისხლ მჩქეფე,
სიდგან გამიჩნდი, სით შემეყარე;
ტრფობის ისარი გულს გამიყარე?
თუმც საწყალს ქალსა შემხჳდი . . . . .
მაგრამ მერწმუნე ვარ შენთჳს მკჳდარი!
დიდო მფლობელო, კრძალვით გიბედამ:
ვკჳდები და ვდნები ოდეს არ გხედამ!
შენგან ნაჩუქარს შენსა პორტრეტსა,
ისე ვლოცულობ, როგორც რომ ღმერთსა,
დღე, ღამ, ყოველთჳს დაურღომელი
უმზერ და ვკოცნი ჭკჳა მიხდილი.
ვინემ ცოცხალ ვარ, დეე—ვიტანჯო
და ოდეს მოჳკვდე მუნ განვისაჯო.
არას ვინაღვლი, თურომ მკითხამენ,
და სიყჳარულს ცოდვათ წამიკითამენ,
მე იქაც ვიტყჳ ამაყის სულით
. . . . . მიყჳარდა, მხურვალის გულით.
სამოთხის დასთა დეე—მე მოვსწყდე,
შენკი ამას გთხოვ, როდესაც მოვკჳდე,
ყოველთჳს ამას გრძნობით იტყოდე:
. . . . . მე მიყჳარდა, მამიგონებდე.

ქ. . . . . .

1864 წელსა. თებერვლის 29 დღესა ქ ტფილისს.

## გრანოვსკის მეორე საუბარი.

### შემდეგი.

ალექსანდრეს წასვლამ საშუალ ლივის უდაბნოისა, სადაცა იყო განთქმული სამისნო სახლი ამმონორასი, მისცა მიზეზი მრავალთა მიმოთქმათა და გამოცანათა, როგორათაც ძველათ ისე ახლანდელს დროში. ნეტა რის გულისათჳს გაიჭირა საქმე- და გაიარა ის ცხელნი და ულაღნი უდაბურნი, სადაც ოდესმე დანთქმულ იქმნა ქჳშაში კამბისის ლაშქარი? ნუ თუ არისტოტელის მოწაფე აფასებდა თავის ამმონის ძედ ამაოდ წოდებასა, რომელიც მისცეს მას საიდუმლოს უდაბნოს კერპთა? ან იქნება იმისათჳს საჭირო იყო ახალი ღონისძიება რომ იმით ემოქმედნა ხალხის ამაოდ მორწმუნეობაზედ? გავკადნიერდები ვიფიქროთ,

რომ ამ შემთხვევაში ორნივე აღსრულებანი მონაწილენი იყვნენ. ალექსანდრეს დაბადებაზედ გასაოცარი ხმები იყო დარილი იმის მემამულეთ შორის. დედა ალექსანდრესი ოლიმპია განთქმული იყო თავის ჯადოქრობით. მაკედონელნი იმახოდნენ, რომ ოლიმპიამ არა თუ ფილიპესაგან შვა ალექსანდრე, არამედ ზევსისაგანაო, ამისათჳსაც ფილიპეს არც ცოლი უყვარდა და არც შვილიო. ამმონის მკითხავის დამოწმებამ მისცა ახალი მნიშვნელობა ამ ხმებსა. ალექსანდრეცკი იყო ცოტა მატათ ამაოდ მორწმუნე, ჩუენ ვიცით, როგორის მხიარულებითაც მიიღო იმან პიფიისაგან თქმული სიტყვები, რომელმაც უწოდა ალექსანდრეს უძლეველი. იმან განგებ ნახა გორიდიუმი იმისათჳს, რომ ნასკვი გამოეხსნა, რომელთანაც შეკავშირებული იყო წინად მთქმელობა აზიის დაპყრობაზედ. ალექსანდრესა სურდა ხალხის წინად-მგრძნობელობის წინათვე გამართლება, უნდოდა, რომ იმისათჳს ხალხს ისე ეყურებინა, როგორც იმის

აღმასრულებელისათჳს, რომელიც წინათვე დიდხნის განსაზღვრებული იყო ღმერთაებთაგანვე. საპოლეტიკო ანგარიში და კარგათ მცნობობა აღმოსავლეთისა თანა ეკვეთებოდნენ მის საკუთარს პოეტიურს სულის მიმართულობის მრწმუნებლობას. შესწირავდა რა მსხვერპლთა და თაყვანისცემათა სხუა და სხუა გვართა ღმერთთა იმა მხარისათა სადამდისაც მისწვდებოდა იმისი საჭურველი, ალექსანდრე აკმაყოფილებდა იმით ორკვართა საჭიროებათა; ერთის მხრით დამარცხებულნი ხალხნი ივიწყებდნენ იმის უცხოტომობას, და უყურებდნენ ალექსანდრეს ისე, როგორათაც თავიანთ ერთ მორწმუნეს, მეორით აღმოსავლეთის სარწმუნოების საიდუმლონი ღმერთნი მიიზიდვიდნენ თჳსდამი იმ ჭკუასა, რომელიც დიახ მაღლა იდგა, იმ დროს საბერძნეთში მფლობელს გამძრალს ურწმუნოებაზედ (*Скептицизмъ.*) ტიგრის მეორეს მხარეს არბელის სიახლოვეს, ალექსანდრემ გაუმართა უკანასკნელი ბრძოლა დარიოზს. დარიოზსა ჰყუანდა ერთი

ათათ მაინც მომატებული ლაშქარი, ვინემც იმის მოპირდაპირეს. ბერძენთ მოჯამაგირენი და თჳთ მეომარნი ნათესავნი სპარსეთის საკელმწიფოსანი კიდევ ერთათ იყვნენ მოწოდებულნი კიროსის სამეფოს დასაფარავად. გამბედავი და გამოცდილი პარმენიონი შეკრთა ერთის მტერთ სიმრავლის დანახვაზედ. ის ურჩევდა ალექსანდრეს ბრძოლის ღამით დაწყებას, რომელნიც პასუხად მიიღო, რომ გამარჯჷჵბა დასაფარავი არ არის. მეშურნენი და მტერნი ალექსანდრესნი ამბობდნენ, რომ ის არის უფრო თავისის სარდლებისაგან არის დავალებული იმ დიდებისა, რომელნიც მოუმზადა იმას ფილიპემ. ალექსანდრეს შეეძლო დასკვნილათ ეთქვა არაბელის ომზედ, მინამდის ერთს უძნელესს ბრძოლათაგან, რომ ნამდჳლად თჳთ იმან მოიგო ის ბრძოლა. საქმე წაგებული იყო, როდესაც ემაწჳლის მეფის საკუთარმა სიმხნემ და განკარგულებამ აღადგინეს ბრძოლა და გარდაქციეს მაკედონელთ სასარგებლოთ. ის გამარჯვება

ამის უფრო შესანიშნავი იყო, რომ სპარსნი იბრძოდნენ მოშატებულის სიმხნით კიდრე სხუას დროს როდისმე. იმათი მხედრობა შეეკრა მაკედონელთ ქვეითი ჯარი რაზმში; ქვეითობა არივეს; მემარცხნე მხარე სასარდლო პარმენიონისა თითქმის დამარცხდა. მაგრამ ვაჟკაცურმა მეტევებამ მარჯვენის მხარისა, რომელსაც თჳთ მეფე წინამძღვრობდა შესცვალა ბრძოლის მიმდინარეობა და შეიქმნა მიზეზი სპარსთა სრულად დამარცხებისა. ამ გზობითკი შურს ხმა უნდა ჩაეკმინდა და აღიარებინა ალექსანდრე ღირსეულს სარდლად გამმარჯვებელთა; ბრძოლა თითქმის დასრულებულთა ჰსჩანდა. დარიოზის უმჯობესნი ქვეყნები იმის მტერთ მფლობელობის ქუშმ იყვნენ, იმასღა დარჩენოდა ღარიბნი მაგრამ მეომრის ხალხით დასახლებულნი სამფლობელოები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სპარსეთისანი. დამაშვრალნი მაკედონელნი და ბერძენნი ითხოვდნენ მდიდარის და მზა დავლის განწილვასა. მაგრამ, ალექსანდრეს

გონებაშიკი იზრდებოდნენ სხუანი განზრახვანი. ალექსანდრემ მიუწოდა თავისთან სპარსეთის დიდებულთა და გამოუცხადა, რომ იმის სამეფოში არ უნდა იყოს განსხუაება გამარჯვებულთ და დამარცხებულთ შორის, რომ ისინიც და სხუანიც უნდა შეერთდნენ ერთს სალხად, საფარველსა ქვეშ ერთისა უმაღლესისა. (*) ეს იდეია იყო დაუსრულებლად ვრცელი: მაგრამ შეემლოთკი იმის მეღროეთ, რომ იმას მისწრობოდნენ, არ ვამბობ მარტო მაკედონელთ აფიცრებზედ, რ.ომელნიც ხმა მაღლად დრტვინავდნენ იმაზედ, ვინც, იმათის აზრით, ართმევდა მათ თავიანთის სისხლით ნასყიდს დავლას, და ისე უყურებდნენ სპარსთ როგორათაც თავიანთს მონებს. თითონ საბერძნეთიდამაც მოისმა ხმები სხუა და სხუა შეწამებაებით და ვედრებაებით სავსენი. ალექსანდრემ, თითქმის არისტოტელმაც საჭიროდ დაინახა თავისის მოწაფის გაფრთხილება, იმან მისწერა წერილი, რომელ-

(*) *Цивилизацiи*

შიაც უმტკიცებდა ბერძენთ და ბარბაროზთ შორის თანასწორობის შეუძლებლობას. ესევე აზრი, უფრო ცხადად გამოსთქუა სტაგირის ფილოსოფოსმა თავის განთქმულს თხზულებაში პოლიტიკაზედა, ის ამბობს, რომ თითონ ბუნებისაგანვეა მკვეთრო საზი გავლებული ხალხთა შორის, წინათვე განსაზღვრებულია, რომ ერთნი უნდა უფლებდნენ, ხოლო სხუანიკი დაუსრულებელად ემონებოდნენ; ამაზედ უკეთესად აღარ შეიძლებოდა გამოხატვა ელლინის აზრისა უცხო თესლებზედ; იმ მაეურებლობის წერტილიდამ, რომლიდამაც პირველი ჭკსჭვრეტდა, ალექსანდრეს ეს აზრი სხუა გვარათ ესმოდა და უფრო უმაღლესადაც. იმისათჳს, რომელმაც ბერძენთაგან ნანდერმავი სამზღვარს გარეთ გარდაბიჯა, განსხვაებას ელლინი და ბარბაროზთ შორის სხუა მნიშვნელობა არა ჭქონდარა, უმაღლესს და უდარეს განათლებას გარდა. ალექსანდრესა სურდა ერგუნებინა თავის ახალთ ქუჩმევრდომთათჳს ნაწილი იმ სასულიეროთ კე-

თილთაგან, რომელნიც მინამდის ერთის ხალხის განსაკუთრებულს სამკჳდრებელად იყვნენ. რასაკჳრველია, ამ გვარს მოქმედებით მოიპოვებდა სიყვარულსა და მადლობას ახალთ დამორჩილებულთ ხალხთაგან, მაგრამკი არ შეიძლებოდა ძლიერის უკმაყოფილების მიზეზად არ შექმნოდა მაკედონელთ და ბერძენთ მხრივ, რომელნიც შეურაცხად რაცხდნენ თავიანთსს თავს იმათთჳს მიუხვედრელის საპოლიტიკო ნებათ გათანასწორებითა.

რამდენიც წინ მიდიოდა ალექსანდრე ამ გზით, რომლიდამაც მრთელს თავის სიცოცხლეში არ გადუქცევია, იმდენი უძლიერესად აღზდგებოდა წინააღმდეგ მისსა უკმაყოფილობა იმისის ლაშქრისა, რომელმაც არ დაუყოვნა გამოცხადება ბოროტ გამძრახს აზრებში ემაწჳლის მეფის სიცოცხლეზედ ამ გვარს მოქმედებისათჳს. უკმაყოფილონი კაცნი ბრალად სდებენ პატივისცემასა, რომელსაც აპყრობდა ის უცხოთა ღმერთთა და უწოდებდნენ მსხვერპლთა,

იმათგან შეწირულთა მემფისსა და ბაბილოვანში წმინდის გილლინიზმის გმობა, მაგრამ სპარსეთის მოთხრობაებშიკი დაცულია იმაზედ შემდგომი გამოხატულება: «ის პატივსა ჰსცემდა ღმერთთა ყოველთა ხალხთასა, მაგრამ თითონკი ეტყობოდა თაყვანსა ჰსცემდა ერთსა, უმაღლესსა ღუთაებასა». მართლათაც იმისი სული ხარბად მიილტოდა სარწმუნოების ჭეშმარიტებისადმი და მიუდრეკელად გამოეძიებდა სიმვოლოების გამოცხადებაში, რომელშიაც აღმოსავლეთის ფანტაზია შეიცავს თჳსთა უმაღლესთა სასოებათა. მაგრამ განა შეეძლო მაშინდელს განათლებულს ბერძენს დაფასება ესრეთის საჭიროებისა და ალექსანდრეს არ ჩამოართმევდნენ ამაოდ მორწმუნეობათ ანუ ფარისევლობათ?

ვწუხვარ, რომ სიმოკლევე ჩემთჳს დანიშნულის დროისა ნებას არ მაძლევს, რომ დაწვრილებით გიანბოთ თქუჱნ ალექსანდრეს ჯარიანობა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის და-

რიოზის საკელმწიფოს სამთავროში. იმ ხარისხით ისე არსად არ გამოცხადებულა შემმართებელი ღენია მაკედონელის დამპყრობელისა, როგორც იქა. იმისთჳს გამზადებული იყო იქ ორ გვარი ბრძოლა--მეომართ მცხოვრებთა და იმ მხარის შეუწყნარებელს ბუნებასთან. მდებარეობის უცოდინარმა, უკარტოთ, უწინამძღვროთ, დაიპყრო ალექსანდრემ ადგილნი, შემადგენელნი ეხლანდელის თურქისტანისა, და არ შესდგა ინდოეთის კავკასიის ხეობათ წინაშე. მაგრამ იმისათჳს საკმაო არ იყო გამარჯვებაები და გარეგანი მორჩილება, ამისთანა შრომაებით, იმისგან ახლათ დაპყრობილთ ხალხთაგან, იმან აიძულა, რომ ნანდვილათ შეეჩვეოდნენ, თავის ახალს საკემწიფოს და შეაკავშირა ისინი იმასთან კოლონიების ჯაჭჳთ, რომელნიც უმეტესი ნაწილი იწოდებოდნენ იმისავე სახელით. ჩრდილოეთის მხარეს იაკსარტის ნაპირზედ დააფუძნა ახალი ალექსანდრია. რაოდენნიმე ქალაქნი აღაშენა იმან სხუათა გეოგრაფიულთ პირობაი

ღრმად მცოდინარეობით, აღრჩეულთა ადგილთა ზედა და დაასახლა იქ მაკედონელთა და ბერძენთ ნამსახურნი ჯარის კაცნი, რომელთაც მიეცათ ვრცელნი მამულნი და დიდნი სითარხნენი. ესენი ასე შორს გადაკარგულნი აღმოსავლეთზედ კოლონიები მსახურებდნენ მეწინავე ადგილებათ საბერძნეთის ცივილიზაციას და გარდასცემდნენ უმორეს იმა იდეიებთა, რომელთ უმთავრესი ჭურჭელი იყო თჳთ ალექსანდრე.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ის აღასრულებდა ჩუჱნკან საქმეთა მოკლედ აღრაცხულთა, ყოვლის მხარიდამ ჴსცვიოდა იმაზედ უვედრებანი და აბრალებდნენ სამშობლოს ჩვეულებათ ღალატსა, სიმკაცრესა და ნებივრობასა. უკანასკნელის საყვედურის ჯასუხად შეუძლიანთ მსახურონ იმის გარემოებათა, რომელშიაც ტვირთულობდა ყოველთა შრომათა და განსაცდელთა თანასწორ უბრალო ჯარის კაცებთან. მაინც ჩუჱნ სიმართლე არ გვექნება დავჩუმდეთ

იმ ხმებზედ რომელნიც გაფენილ იყვნენ მაშინ მაკედონიის მეფის სიმკაცრეზედ. ალექსანდრე იმ პირთ რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ყოველნი თჳსებანი და ნაკლულევანებანი თავიანთის გავლენისამებრ მდებარე არიან მსჯავრსა ქვეშე ისტორიისასა, იმის სიმკაცრის დასამტკიცებლად ჩვეულებრივ მოჰყავთ სამი შემთხვევა, რომელნიც ერთობ მიეწერებიან უკანასკნელსა დროსა სპარსეთის სამფლობელოების სრულად დაპყრობისასა, სახელდობ: სიკუდილი ფილოტისა და პარმენიონისა, მოკულა კლიტისა, და კალისფენ ფილოსოფოსის მხვედრი. მე ვეცდები რამდენისამე სიტყვებით განვმარტო მონაწილეობა ალექსანდრესი ამ შემთხვევებში, (რომელთაცა აქამდისაც მდებარე არიან იმის დიდებაზედ შავს ლაქებათ.) რომელთაგანაც აქამდისაც დამდაბლებულია იმისი დიდება.

მართალია პარმენიონს დიდნი სამსახურნი მიუძღოდნენ მაკედონიის წინაშე ფილიპეს დროსვე. სპარსეთის დამპყრობელს

ლაშქარში, შემდეგ მეფისა, იმას შეუცილებლად ეჭირა პირველი ადგილი. მე მისი ფილოტი, ტოლი იყო ალექსანდრესი და იმისის ყმაწჳლობის ამხანაგიცა. ორნივ ისინი მამა და შვილი, კუთვნოდნენ იმ უკმაყოფილოდ ღენერლებთ რიცხვსა იმ მონაწილეობისათჳს, რომელიც მიიღეს სპარსთა საკელმწიფოს მმართველობაში, და არა ჰფარავდნენ თავიანთს აზრსა გაამაყებულნი დიდკაცობითა და წინანდელის ნამსახურობაებითა, ისინი თავს დაუდგნენ მეწინაალმდეგეთა და არა თუ მარტო ესმარებოდნენ ჯარში აღმდგარსა დრტჳნვასა, თითონაც მიიღეს მონაწილეობა მეფეზედ შემდგარს შეთქმულობაში. ფილოტი იყო სასიკუდილოთ დაჰსჯილი იმაზედ შემდგარის სამსჯავროს განჩინებითა, პარმენიონიც მოიკლა წარგზავნილი ჩაფრებთაგან, ამისთჳს რომ დიდნი ღონისძიებანი, რომელნიც კელქვეშ ჰქონდა მოხუცებულს სარდალს, შეუძლებლად ხდიდა სახალხო აღსრულებასა, იმაზედაც აგრეთვე შემდგარის განჩინებისას.

კლიტის სიკუდილი უფრო ცხადათ გვაჩუჱნებს როგორი მნელი დამოკიდულობაც ჰქონდა თავის ღენარლებთან ალექსანდრეს. ჩუჱნ ზემოთვე შევნიშნეთ, რომ უფრო მომატებულნი იმათგანნი აღზრდილიყუნენ ფილიპეს სასწავლებელში და ხანითაც უფროსნი დარიოზის დამმარცხებელზედ, რომელსაც ისინი უყურებდნენ როგორათაც თავიანთის უმადურს მოწაფეს, დიდ საყვედურათ ჰსდებდნენ ალექსანდრეს ყოველს გარდასდომას, გონიერულის, მაგრამკი შეუფერებელის ახალის ვრცელის სახელმწიფოებისათჳს. თავისის მამის პოლიტიკიდამ ღენიებრივნი აზრნი ალექსანდრესნი ეჩვენებოდა იმათ თავის დღეში აღუსრულებელს, თავის მოყვარის ჭაბუკის ოცნებაებათ; ჩუჱნ ვიცით კიდეც იმათი აზრი იმისაგან დამარცხებულთ ხალხთ ისე მოპყრობისათჳს. იმისთანათ მდაბალის აზრის მქონთ, მოუხეშავათ, მაგრამ ვაჟკაცათ და ნამდჳლ მეფისადმი შემჭუალულთ. მაკედონიის ლაშქრის უფროს რიცხვს ეკუთჳნოდა კლი-

ტიცა. განსაკუთრებითნი ნამსახურობანი ამ-
ლევდნენ იმას ნებასა, სხვებზედ, ხმა მაღ-
ლად თავისის აზრის გამოთქმისას. ერთ-
ხელ მეჯლიშში, სადაცა მაკედონელთ ჩვეჭ-
ულებისაებრ, შეუწყველად გარს უვლიდნენ
ღვინით სავსენი თასნი, კლიტი იქამდის
გაცხარდა, რომ სრულებით გარდასდა ზრდი-
ლობის საზღვარს. დაუწყო ალექსანდრეს
პირში დაცინება, აყვედრიდა იმას ერთგუ-
ლთ მსახურთ უმადურობას, ჰკსწამებდა აღ-
მოსავლეთის ფარისეველთ დარბაიელთადმი
ფერაობასა; უმტკიცებდა ამასთანავე, რომ
ის ვერ შეედარება თავის მამას ფილიპეს.
ალექსანდრე მოთმინებიდამ გამოვიდა, წა-
მოხტა და საჭურველი მოითხოვა. მეგო-
ბრებმა მთვრალი კლიტი კარზედ გამოიყ-
ვანეს, მაგრა როგორღაც კელიდამ დაუს-
ხლტათ .ის უკანვე დაბრუნდა და სიმღერით
წარმოთქუა ალექსანდრეზედ საბერძნეთში
გამოთქმული საკიცხავი ლექსები, მაშინ
მეფემ გამოსტაცა შუბი იქ მდგომს
ყარაულთ მხედართ და დასცა კლიტსა. ეს

მოქმედება მეისვე გარდაექცა მწარე სასი-
ნანულოთ. ალექსანდრე, სამ დღე და ღა-
მეს არ მოშორებია მკჳდარს, ჰსტიროდა
და აღარასა სჭამდა. ის მლივს შეიკავეს
თავის სიკჳდილისაგან. არც ერთს შემთხ-
ვევაში არა ჰსჩანს ცივი და მოფიქრებუ-
ლი მრისხანება. ეს იყო მხოლოდ აღფე-
თქება ვნებულის და მოუთმენელის ბუნე-
ბისა.

კალისფენის სამწუხაროს მხვედრსაც არ
შეუძლიან ბრალეულჰყოს ალექსანდრე. ეს
ფილოსოფოსი, ნათესავი არისტოტელისა,
რომლის თხოვითაც თან წაიყვანა ალექ-
სანდრემ სპარსეთის ომში, იყო წარმომდ-
გენელი ცუდის მხრით, საშინელის საბერ-
ძნეთის სწავლისა. ის იყო რიტორი და
სოფისტი, რომელიც ზნეობით ურწმუნოე-
ბათ და საფუძვლიანის ჰსწავლის ნაკლე-
ბულებას ჰფარავდა მარჯჳტს ლაპარაკით,
რომელშიაც სმარობდა მარტო სმენისათჳს
სასიამოვნოს ფრაზებსა. პირველადვე ალე-
ქსანდრეს სასახლეში ის განსხვავდებოდა

ურიცხვს ჰირფერობითა, ბოლოს კიდეც მოაწყინა თავი მეფესა. გულნაკლული ფილოსოფოსი მიემხრო იმ უკმაყოფილოთ ნაწილს და თავისის ლაპარაკით ძლიერად მოქმედებდა მაკედონელთ დიდკაცთ ჭაბუკთ აზრზედ, რომელნიც მსახურობდნენ, მეფის ღვარდიაში, რომელნიმე მათგანნი შეითქვნენ და სურდათ მოკჳლა მეფისა. ბოროტი განზრახვა გამხილებულ იქმნა, და ზნეობითათ მონაწილეობა კალისფერნისაც განცხადებულ, თუმცაკი არ იყო დამტკიცებული რომ თითონ ისიც ეკუთვნოდა მოღალატეთ რიცხვს. ჩჳჱნამდის მოწევნილთ ჭეშმარიტის ცნობაებიდამ ჰსჩანს, რომ კალისფენ, მოკჳდა ჰყრობილობაში, ინდოეთის ომიანობის დროს. როგორც ეტყობა ალექსანდრესა სურდა იმის სამართალს ქჳჱშ მიცემა როდესაც დაბრუნდებოდა ევროპაში, არისტოტელის თანა დასწრებით, რომელიც მგონია სრულათ არც ის გაამართლებდა ზვაობით სავსეს და დაუნდობელს თავის ნათესავს, შემდგომში ჭეშმარიტების მოწა-

მედ შერაცხილს. მე საჭიროდ შევრაცხე რამდენისამე სიტყვის წარმოთქმა ალექსანდრეს გასამართებლად იმის გამკიცხველთ წინააღმდეგ, თუმცა მეორეს მხრითკი არ შეიძლება ადგილი არ მივსცეთ, რომ იმ შემძლებლობისა და დიდებისა თითქმის მიუწთომელს სიმრავლეზედ როგორზედაც ის იდგა, ძნელი იყო იმისათჳს დაემარხნა წინანდელივე სიწმინდე ზნისა და არ ეპასუხებინა მოუსმავთ და უმეცართ მეტოქეთათჳს მკაცრის ზომიერებითა, რომელნიც წინააღმდეგობდნენ იმის უმჯობესთ დაწყობილებათა და ცილსა ჰსწამებდნენ იმისაგან უპატიოსნესთა განზრახვათა. განა ამას შეეძლო, მაგალითად ვსთქვათ, არ დაემდაბლებინა თავისი ღირსება ახალთ ქუეშევრდომთ წინაშე, თუ რომ მაკედონელნიც არ დაიმარხავდნენ სპარსეთის სამეფოს კარის წესთ, რომელნიც უთუოთ უნდა შემოეღო ალექსანდრესაც, რომ არა ჰსჩვენებოდა წინანდელთ სპარსეთის მეფეებზედ დაბლა აღმოსავლეთის ხალხთა აზრში, რო-

მელნიც ასე დიდათ აფასებენ ნიშნებს გარეგანის დიდებისას? და აი ეს ახალი მემოღება შეიქნა საგნად მწარე დაცინებაებისა და ბოროტთ კიცხვისა, როგორც იმის ლაშქარში, ისე მრთელს საბერძნეთშიაც. აშკარათ მისახვედრია, რომ ხანდახან ვნებათ უნდა ეჯობებინა იმის სულგრძელებისათჳს იმ შეურაცხებაზედ როგორც უნერგავდნენ მეწინააღმდეგეთ გონების სისუსტე იმას. და რომ სისრულით დავაფასოთ იმისი აღმატება იმ ხალხზედ, ვისაც გარს ესჳვნენ, მხოლოდ ღირს მოვიგონოთ ის რჩევები, რასაც ალექსანდრეს აძლევდა, მეტოქე კალისფენისა, სოფისტი ანაკსარხი.

უკანასკნელი შემართება ალექსანდრესი იყო ინდოეთზედ წასვლა. გამოუთქმელის შრომით და ვაის ვაგლახით გაატარა თავისი ლაშქარი ჰაროჰამიზუსის მთებში და ფენჯაფში, იმ მხარეს, რომლის მცხოვრებნიც განთქმულ ივნენ მეომარს ხალხათ და რომელნიც ჩუენს დროშიაც ამოდენს სისხლათ და შრომათ უღირსთ ანგლიჩნებს.

ალექსანდრემ იმ ხალხთაც დაუყენა თავისნი მოადგილენი და აღაშენა რაოდენნიმე ქალაქნი ბერძენთ მსახლობებითა. მაკედონელთ ყოველივე შეასრულეს, რაცკი შესაძლებელი იყო კაცობრიობის ძალათ საზღვარში, იმათ გაუწყდათ ცხენები, აღარ დარჩათ ტანისამოსი, აღარც ფეხსაცმელი; მახვილნიცკი თითქმის დაუჩლუნგდათ ყოველ დღე ცემისაგან, მარტო ალექსანდრე არ ენაწილებოდა საზოგადოს დაღალვასა და განწირულებასა, ყოველთა მომცველსა. იმას თვალწინ ედვა დიდმშვენიერი ვაკე ღანღერისა, რომელიც ეჩვენებოდა დიახ საადვილო დავლად დამპყრობელს. მაგრამ ალექსანდრეს ლაშქარი განწირულებაში შევიდა, იმათ ვეღარ შეიძლეს მოწევნა სარდლის გამბედავს აზრისა და უარიჭყევს წინ წასვლაზედ, ამით უფრო, რომ იმათში ხმა იყო დაყრილი ახალთ განსაცდელებსა და ბრძოლაებზედ, რომელნიც ვითომც ჭსწორეთ იმ ადგილს მიელოდნენ იმათ. ღიფაზისის ნაპირს განუცხადეს მეფეს თავიანთი

გარდაწყვეტილება, ალექსანდრესაგან ხმარებულნი ყოველნი ღონისძიებანი იმათის მიდრეკისათჳს ჩვეულებრივის მორჩილებისადმი ამაოთ დაშთნენ. ალექსანდრე მწარეს გრძნობით დაჰყვა იმათს ნებას, აღმართა თორმეტი დიდროანნი მსხვერპლის შესაწირავნი იმ ადგილს, სადაც იძულებულს უნდა შეეჩერებინა თავისი ძლევა შემოსილი მსვლელობა და უკან დაბრუნდა. რომლის გზითაც უკან უნდა დაბრუნებულიყო, იდო სხუათა, მისამდის მოგზაურთათჳსაც უცნობს მხარეებში. ერთი ნაწილი იმისის ლაშქრისა წავიდა ესლანდელთ ყანდარსა და სისტანზედ, მეორე გაემგზავრა, განვებ იმათთჳს მომზადებულის ნავებით, რომელნიც მინდობილ იყვნენ მსწავლულის ნიარხისადმი, იმან მიიღო ბძანება, რომ მიჰყოლოდა ინდის მდინარეს შესართავადმდე და შემდეგ განეგრძელებინა ცურვა ეფრატამდი. საგანი ამ წარგზავნისა მდგომარეობდა ამ მდინარეთ ნაპირების აღწერასა და გამოძიებათა შინა. თითონ ალექსანდრე წაუძღვა

წინ მესამე ნაწილს და აღირჩია გზათ საშიშარნი უდაბურნი ბელუჯისტანისა. სამოც დღეს გაგრძელდა იმათი მგზავრობა, და ორი ნაწილი ალექსანდრეს თანამხლებლებთაგანნი დაილუპნენ შეუვალს უდაბნოს ქჳშაში, ძნელი მისახვედრია, ანკი დანარჩენნი როგორღა გადარჩნენ.

ამასობაში ხმა დავარდა ყოველგან ალექსანდრეს სიკჳდილისა. იმისაგან დაყენებულნი დაპყრობილთ სამთავროებში მმართველნი აღარა ფიქრობდნენ იმის დაბრუნებას და ნებას აძლევდნენ თავიანთ თავს ყოველ გვარათ ბოროტ მოქმედებისას. მაკედონელნი და ბერძენნი იკლებდნენ და აიწროებდნენ იქაურთ მცხოვრებთ; სპარსეთის დიდებულნი ფიქრობდნენ თავიანთის თავის განთავისუფლებას უცხო თესლთ უფლებისაგან. საშინელის უწესოების დასამტკიცებლად მოვიყვან ქცევასა მეფის მოლარის ღარპალისასა. გაფლანგა რა სხჳა და სხჳა შექცევებზედ, რომელთშიაც ერთდებოდა ბერძენთ მოგონებაებს აღმოსავლე-

თის დიდგანშვენებულებაცა, თითქმის დაუჯერებელი რიცხვი მისდა რწმუნებულის ფულისა და რაკი გაიგონა მეფის მოახლოება, ის გაიქცა ათინაში, რომელმაც თან წაიღო ათ მილიონამდის მანათი, ჩჳჱნს ესლანდელს ორმოცდა ათს მილიონს შეეთანასწორება. ღა-რვალს საფარველად მსახურებდნენ იმისაგან ნაქირავებ ექჳსი ათასი ბერძენნი. ალექსანდრესნი დაბრუნება არა მხოლოდ დამნაშავედ დიდებულთ დაჰსჯაში გამოჰსჩნდა, არამედ საკელმწიფოს უმეტეს მტკიცის და ახალის დაწყობილებითა თესლთა, ალექსანდრესაგან წინათვე გადაბნეულთა იწყეს ნაყოფის მოცემა. ოცდა ათი ათასთა სპარსთ ჭაბუკთა, განსწავლულთა იმისის ბრძანებით ბერძულის ენითა, სამხედროს წესით აღზრდილთა, კარგათ აღჭურვილთა, შეადგინეს ახალი, განუსაზღვრებელად მისი ერთგული მსედრობა. დამაშჳრალნი ჯარიანობისაგან მაკედონელნი, რომელნიმე დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოს ქჳჱყანაში, სხჳათა მეფის სურვილისამებრ, შეირთეს

ცოლებად მდიდართ სპარსთ ქალები და დასდვეს დასაწყისი ორთა უცხო თესლთ შეერთებისა: ხალხთა, როგორაჟაც ძველი მწერალი ამბობს, დაივიწყეს წინანდელნი მტერობანი და ხარბის ბაგითა მიეწაფნენ მათდა მიცემულსა სიყვარულისა ფიალასა. მზადებანი შემდგომთ შემართებათათჳს თავის რიგზედ მომდინარეობდნენ. ეფრატზედ ამზადებდნენ მრავალთ სამხედრო სჭამალდთა, რომელთაც უნდა დაეპყროთ ნახევარ კუნძული არაბეთი, რომლის სამხრეთის ნაპირზედაც ალექსანდრე აპირებდა ქალაქის დაფუძნებასა. მეორეს ნაწილს უნდა აფრიკისათჳს შემოევლო, უკან დაბრუნებულიყო დასავლეთით და გამოევლო ღერკულესის სვეტებში, (*) იმ გზით, რომლითაც ოდესმე ჰქონდათ მსვლელობა თავ გაწირულთ ფინიკელთ ეგვიპტის მეფის ნეხაოს ბძანებით. კასპიის ზღვაზედაც მზადდებოდნენ ნავნი, რომელთაც უნდა გამოეძიებინათ ჩრდილოეთის ნაპირნი, ბერმენთათჳს თი-

(*) ეხლანდელი ღიბრალტარი.

თქმის ამ უცნობის ზღვისა. ჰსწავლულის კაცის ცნობის მოყვარეობა ამ შემთხვევებში შეერთდებოდა ვაჭრობის ანგარიშებს და ახალის დაპყრობის გამრახვაებს ერიათ. ალექსანდრე თითონ აპირებდა ჯარის წაყვანას ხმელით ჩრდილოეთის მხრივ აფრიკის ნაპირს სიგრძეზედ, კართაღენისა და სამხრეთ დასავლეთის ევროპიელთ ხალხთ დასაპყრობათ. ყოველის მხარეებიდამ მოდიოდნენ იმასთან ელჩნი, იმისის დიდების მოსალოცავად, რომელმაც მიახწია უშორეს ხალხამდისაც, რომელნიც მინამდის ყურს არცკი ათხოვებდნენ საბერძნეთის საისტორიო შემთხვეულებათა. კართაღენელი, სკჳთი, კელტი და წარმომდგენელნი იტალიის სხჳა და სხჳა ხალხთა მეიყარნენ ბაბილოვანში, თითქოს იმისთჳს, რომ წინდაწინვე შეეხედათ თავიანთის მეობადის მფლობელობისათჳს. ჯერ არას დროს არა ყოფილა იმისთანა ჰსწრაფი საქმიანობითი შეერთება ქუეყანაზედ გაბნეულთა კაცობრიობის სახლობის წევრთა შორის, მაგრამ

4

ამასობაში დღენი ალექსანდრესნიკი ილტოდნენ დასასრულისადმი. იმან დაასაფლავა ერთი უმჯობესი თავის მეგობართაგანი, ეფესტიონი, ერთი იმ მცირეთაგანი, რომელნიც სრულად იცნობდნენ ალექსანდრეს. დიდი მწუხარება ამ დანაკარგისა შეერთებული მძიმეთა შრომათა თანა უსათუოთ იყო მიზეზი იმისის ავათ მყოფობისა, რომლითაც გარდაიცვალა ალექსანდრე. ის ჯერ ოცდა ცამეტის წლისაც სრული არ იყო დაბადებიდამ.

ჩავათვალიერებთ რა ჩუენგან წასრულთა საუკუნეთა, ვერა ჰპოებთ იმისთანას პირს, რომლის ისტორიულს მოღვამეობასაც შეეძლოს სივრცით და გავლენილობით ალექსანდრეს ღვაწლთან შეთანასწორება. ისა ჰსდგას შუამავლათ და დამხავებელად დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის. იმან გაუხსნა გზანი მრავალთა სალსთა რომლითაც მინამდის მსვლელობდნენ მხოლოდ არა მრავალნივა გამბედავნი მოგზაურნი. ამ შემთხვევაში იმას სხუა მეტოქე არავინა ჰყავს გარდა კო-

ლუმბისა. ბერძენთ კარგათ იცოდნენ დასავლეთის ნაწილნი აზიისა: რაიცა შეეხების სპარსეთის საკელმწიფოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სამფლობელოებს და მხარეთა ინდოეთის საღზვრის შემადგენელთა, ტუილს ზღაპრებს გარდა ჭეშმარიტებით არა იცოდნენ რა. ალექსანდრემ შემოიტანა ეს ვრცელნი ადგილნი ნამდვილის ღეოღრაფიის გარემეცულობაში და გამოუჩინა დასავლეთის გამომეძიებელს ჭკუასა ახალი ბუნება, რომელიც არ ემსგავსებოდა ევროპიულსა არცა გაშლილობითა, არცა ისტორიითა; ამასთანავე მრავალნი თჳთ მეოფთ სარწმუნოებათ იდეიანი და ზნეობითნი წარმოდგენანი. ვაჭრობამ და სწავლამ მოიცვეს ქჳჳენები მინამდის მდებარენი გარეგან კაცობრიობის შეერთებისა. აღმოსავლეთმაც, ღრმად შთაინერგა თავის თავში გავლენილობა დარიოზის დამმარცხებელისა აღმოსავლეთის ცხოვრების გაქვაებულნი სახენი მოძრაობაში. მოვიდნენ. უქმად მდებარენი ხალხის შეგნების სიღრმეში და თა-

ვიანთის თავისთჳს გაუგებარნი იდეიები, რომელნიც მიზეზნი იყვნენ წინანდელის გაშლილობის შეყენებისა, განცხადებულად აღზდგნენ ევროპიულის აზრის შეხებითა და გარდასცეს ამ აზრსა ყოველი სიმდიდრე და სისრულე. უალექსანდრიოთ არ იქნებოდა ახლანდელიცა განათლება.

რაკი დაკჳრვებით გავჩხრეკთ ალექსანდრეს სახეს შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ბუნებას იმაში შეუერთებია თჳთ ერთი მეორის წინააღმდეგნი თჳსებანი: მათემატიკური სისწორე გონებისა და აღტყინებული გამოხატულება პოეტისა; ძლიერი ნება კაცისა შეერთებული ყმაწჳლურს გულჩვილობასა და შთაბეჭდილებასთან. ბრძოლის წინადღეს ის გულგრილად გაიანგარიშებდა ყოველთა პირობათა სისხლიანის თამაშობისასა,მაგრამ ომის გარდაწყვეტილობის ჟამსკი თითონ შეიქნებოდა გაცხარებულს მებრძოლათ და ჩაერეოდა შუაგულს სვრაში, როგორათაც იმისი საყვარელნი, ღომერიულნი გმირნი. მომაცთუნე-

ბელნი მრწმუნებლობანი აზიისა და მკაცრი ჴსწავლა ევროპიისა ჴპოებდნენ ალექსანდრეში თანასწორსა მონაწილეობასა. აქ ადგილი არ არის აღვრიცხოთ ყოველნი მისგან ქმნულნი ჩუჱნის ცოდნის წარმატებისათჳს. ისიც საკმაო იქნება მოგაგონოთ თქუჱნ იმისი გაუწყვეტელი კავშირი არისტოტელთან, რომელსაც ალექსანდრე უგზავნიდა ყოველ გვართა შემწეობათა იმის გამომძიებლობისათჳს. თჳთ უმნელესს დროსა იმის სიცოცხლეში, დროსა ინდოეთთან ბრძოლისასა, იმისი აზრი განსაკუთრებით მოცლილი არ იყო წინა მდგომარეთ განსაცდელთათჳს. ისა ჴსწერდა ბაბილოვანში, რომ იმისათჳს ეგზავნათ იქიდამ საკითხავი წიგნები, განსაკუთრებით ტრაღიკთა და ფილოსოფოსთა თხზულებანი.

აღმოსავლეთს ჯერაც არ დავიწყებია ალექსანდრე. თითქმის ყოველს აზიურს ენებზედ დაცულან ანბავნი ალექსანდრეზედ. იმაზედ იმღერიან არაბთა ძველს სიმღერებს და უანბობენ ებრაელთ ხალხთა იმი-

სავე ანბებს. სპარსთა ის შერაცხეს თავიან სახალხო გმირი რიცხვში. სპარსელი მელექსე ამბობს, რომ ისკანდარ ნათესაობით სპარსი იყო და მხოლოდ შემთხვევით დაბადებული ევროპიის მამულში. აღმოსავლეთი არ იმეტებს, რომ ჩუენ დაგვითმოს თავისი დამპყრობელი. დაწრწის რა უშენო ადგილებში საშუალ აზიისა, ევროპიელი მოგზაური, და დაუცალებლად ესმის გასაოცარი სმები ისკანდარზედ. თურქისტანში იმასა რაცხენ დამაფუმნებელად უდიდესთა ქალაქთა და შენობათა, რომელთა ნანგრევნი ამოწმებენ უწინდელსა სიმდიდრესა იმა მხარისასა. ლმობიერს უბინაოს მონღოლის სიმღერაშიაცკი ისმის, ხან და ხან, ხმა მიხწევნილი იმ უღალის მინდვრებშიაც დიდს ისკანდარზედ მოთხრობაებისა. დასავლეთიც არ დარჩა უკან აღმოსავლეთზედ .შუა საუკუნების ლეტერატურის სასხოვრებში ისტორიულნი მოწმობაები მაკედონელს დამპყრობელზედ შეერთებულნი არიან ზღაპარ სიტყვაობითი შერეულებასთან, რომლითაც ეტყობა, რომ

ამ მოთხრობათ გამოუვლიათ მრავალთ ხალხთ ბაგეთა შორის, რაინდობისა მელექსეობამ მოიცო თავის დროზედ ეს ოდენ მდიდარი საგანი და თითქმის ერთგვარი იმასთან თავისის აზრით. ბევრს მხარეს ალექსანდრეს ხასიათში ჰსჩანს ნამდჳლად წმინდა გმირულნი სახენი, სრულიად არა მსგავსნი მველებურს გმირულს ქცევასთან. მე მხოლოდ მოგაგონებთ იქუწნ იმის პატიოსნებით მოპყრობას დატყვევებულის დარიოზის სახლობისას. მველი კაცი არ უთმობდა დიდ სულობაში ახლანდელს, მაგრამ გარდამეტებული პატივისცემა დედაკაცებისა არ შემოდიოდა იმის ზნეობაში. ყოველთ ნათესავთ ლათინ-ღერმანიელი ევროპიელთა აქვსთ დაწერილი მოგონილი რომანები დიდს ალექსანდრეზედ, მაგრამ მზგავსად იმ მაკედონელთ ჯარისა, რომელნიც შედგნენ მოუძლურებისგამო ღიფაზისის ნაპირზედ და ველარ შეიძლეს მიყოლა მათთჳს მიუხვედრელისა, მხოლოდ სარდლისათჳსკი ცხადისა საგნისადმი, მწერალთა ფანტაზიასაც

ეგრეთვე ვერ მალუმს მიჰყვევს გმირისა ნამ-დჳლთა ღვაწლთა და ეძებენ იმათს განმარ-ტებას გარეგან საზღვართა, რომლითაცა გარე-შე მოწერილ არიან კაცობრივნი განმრახვანი. სპარსნი ამბობენ, რომ ალექსანდრემ ქუეყანა დაიპყრო, საიდუმლოს მხარის მებნაში, რომელშიაც გამოდის წყარო ცხოვრებისა— უკუდავების-წყალი. ლამპრეხტის ნემეცურს პოემაში (XIII) მეცამეტე საუკუნის, ქრის-ტიანე მელექსე განმარტებს სხუას მაყურებ-ლობის წერტილიდამ შინაგანი მოუსვენებ-ლობა, რომელიც გამოკრთებოდა შეუწყვე-ტელს და ვნებულს ალექსანდრეს საქმია-ნობაში. ქუეყნის მეუფება არ იყო საკმაო საგანი იმისის მოღვაწეობისათჳს: იმასა სურდა სამოთხემდის მისვლა, რომ დაეტკ-ბო ამ სოფლიური სასმენელი ანგელოზთა გალობითა.

ნება მომეცით გავათაო ეს, გაჭიმული ასე სანგრძლივი, საუბარი. მე თქუენ წა-რმოვიდგინეთ ფერმკრთალი აღწერა ალექ-სანდრეს საქმიანობისა, მაგრამ ყოველსავე

ამას შორის შესაძლებია გამკიცხონ პირ-მოთნეობისათჳს. მე თითონ მზა ვარ ეს ვაღვიარო, მხოლოდ ამასკი დაუმატებ, რომ ისტორიკოსსა უურადღებით სახსოვართა გამომემიებელსა, რომელნიც შეიცვენ დაწვრილებითთა ცხოვრებასა და საქმეთა მაკედონელის დაპყრობისასა, მნელად უჩნს თავი შეიმაგროს თავისის საკუთარის ნების წინააღმდეგთაცა, მნელია არ მიჰყვეს მომხიბლავსა ამ თითქმის საფლავიდამაც ბრმანებელის პირისასა. სვე ალერსანდრეზედ უმეტეს მწყალობელის თვალით იყო, ვიდრე სხუ თავის საყვარლებთაგანზედ; იმან შეაძლებინა ალექსანდრეს აღსრულება მთელი საქჳყნო საისტორიო ღუაწლისა და ადრე გადმოიყვანა ის სპარსეთიდამ, თითქოს განგებ იმისთჳს, რომ ხალხის ხროვაში უფრო დამარხულიყო იმისი პოეტიური სასრულის თავისის სიჭაბუკის მშუჳნიერებითა.

ს. კარალეთი 1 მარტსა 1860 წელსა.

# მოძღვრება.

კვირიაკესა ზედა ყველიერისასა, თქმული ქუთაისს გა-ბრიელ ეპისკოპოსისა მიერ. (*)

> «რაჟამს იმარხვიდეთ ნუ იყოფით ვითარცა იგი ორგულნი მწუხარე. . . . . რათა არა ეჩვენო კაცთა მმარხველად, არამედ მასა შენსა ფარულად. (მატთე ვ, იდ.)

მოახლოებულ არიან დღენი დიდისა მარხვისანი და აჰა ესერა წმინდა ეკკლესია წაგვიკითხავს ჩუენ სახარებისაგან სიტყუათა მათ, რომელთა შინა მაცხოვარი გვასწავლის მარხვასა, განვიხილოთ ძმანო ეს სიტყუანი და შევიტ-ყოთ რა არს მარხვა, რისთჳს დაგვიწესა წმინდამან ეკ-კლესიამან დღენი მარხვათანი?

მაცხოვარი გვასწავლის ჩუენ, რათა არა ვიმარხვიდეთ ვითარცა ფარისეველნი. მარხვა ფარისეველთა მდგომარე-ობდა მხოლოდ რომელთამე გარეგანთა მოქმედებათა შინა; ხოლო მაცხოვარი გვამცნებს ჩუენ რათა ვიმარხვიდეთ ფა-

---

(*) ეს ყოვლად ჩინებული მოძღვრება უნდა დაბეჭდილ-იყო პირველს «ცისკრის» შესაკალშივე, მაგრამ რადგანც თავის დროზედ ვერ მივიღეთ, ბოლოს მოვაქციეთ. რედ.

რულად შინაგანითა მარხვითა. აქედგან ჰსჩანს რომელ მარხვასა აქუს ორი გუარი, გარეგანი და შინაგანი, ფარისეველთა ჰქონდათ მხოლოდ რომელნიმე გარეგანნი ნიშანი მარხვისა; იგინი დროსა მარხვისასა გამოისახვიდნენ პირსა მათსა ზედა მწუხარებასა, ჩაიცმიდენ ღარიბსა ტანისამოსსა, უთუოდ გამოიცვლიდენ და დაიკლებდენ საჭმელსა; გარნა ამას ყოველსა იზამდენ რათა ეჩვენონ კაცთა მმარხველად და შინაგანსა, სულიერსა მდგომარეობასა არ იცვლიდენ, ცოდვას არ ერიდებოდენ მაცხოვარი აღგვიკრძალავს ჩუენ ესრეთსა მარხვასა; იგი გვასწავლის ჩუენ რათა მარხვა ჩუენი იყოს ფარული, შინაგანნი; რათა გულში ვგრძნობდეთ სინანულსა და მწუხარებასა უღირსებისა და სიცოდვისა ჩუენისათჳს, ხოლო პირი გვქონდეს მხიარული. სულიერი მარხუა აქუს იმ კაცს, რომელმან იცნო რა თავისი სიცოდვე და ბრალი ღუთის წინაშე სწუხს, ნანობს და ევედრება ღმერთსა.

მაშასადამე, მეტყვის მე აქ ვინმე, რაღა საჭირო არს გარეგანი მარხვა? სიდგან შემოიღო ეკკლესიამან ის ჩვეულება, რომელ დღეთა მარხვათასა იგი აღგვიკრძალავს მიღებად რომელთამე საჭმელთა? საკმაო არ არისა ჩემთჳს როდესაც მაქუს სულიერი მარხვა, ესე იგი ვგრძნობ ცოდვასა ჩემსა და ვსწუხვარ; რას მარგებს მე დაკლება საჭმელისა და სასმელისა? სხუა ვინმე კიდევ ამასაც დაუმატებს და მეტყვის: მე ვარ ერთი უძლური კაცი; მარხვის საჭმელმა მე მაწყინა, რისთჳს შევაიწროვო ჩემი თავი? ნუთუ ღმერთს იამება ჩემი გაჭირვება? ამას და ამის მსგავსსა მრავალს იტყვიან ზოგიერთნი და უმე-

ტესად ახლად გამოსრულნი სწავლისაგან და განათლებულად თავის შემრაცხველნი. ესენი ფრიად შეურაცხჰყოფენ მრავალთა ძუელთა ჩუეულებათა და წესდებულებათა მხოლოდ მისთჳს, რომელ იგინი არიან ძველნი და ახლად შემოსულნი. გამოვიკვლიოთ ძმანო ეს საგანი, სიტყვამან ჩუენმან დაფუძნებულმან სიტყვასა ზედა ღმრთისასა და გამოცდილებასა ზედა წმინდათა მამათასა, თანასწორ თჳთ იმ სწავლასა და იმ მეცნიერებასა ზედა რომლითა იქადიან ხსენებულნი პირნი, გაამართლოს დღეს წესდებულება ეკკლესიისა და ჩუეულება მამათა ჩუენთა

მცნებათა და წესთა ეკკლესიისთა ჰქონან ძმანო ჩემნო ღრმანი და შეურყეველნი საფუძველნი; ყოველნი სჯულის დებანი და წესდებულებანი ეკკლესიისანი დამყარებულ არიან თჳთ ბუნებასა ზედა კაცისასა და საჭიროებათა-ზედა სულისა და ხორცისა ჩუენისათა. მარხუაცა ხორციელი ესე იგი საჭმელისა და სასმელისა გამო-ცულა და დაკლება არის ერთი უსაჭიროესი და მიუცილებელი ღონე და საშუალება მიმაყვანებელი კაცისა სულიერისა სისრულისადმი. პირველად მისთჳს, რომ სულიერსა ანუ ფარულსა მარხუასა რომელსა მოითხოვს ჩუენგან მაცხოვარი და მარხვასა ხორციელსა აქუს დაურღვეველი კავშირი, უკეთუ შენ ძმაო ჩემო ნამდვილად მწუხარე ხარ, ნანობ უღირსებისა და სიცოდვისა შენისათჳს მაშინ თჳთონ ბუნება შენი აღარ მოითხოვს მრავალსა საჭმელსა და სასმელსა. ეს ყოველმა კაცმა იცის, რომელ ნებიერი და უხვი ჭამა და სმა არის ნიშანი მხიარულებისა და გმაყოფილებისა, ხოლო მწუხარესა და

გლოვარესა კაცისა არ ახსოვს ჭამა და სმა

მეორედ, ამაშიც დამეთანხმები შენ, ძმაო რომელ ყოვ-ველ კაცს გულ მოდგინედ ლოცვა და ვედრება ღვთისა მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც არა აქვს გული და-მძიმებული საჭმელითა ვინ იქნება ისეთი უგუნური რომ იქვს თავის გულში: ჯერე გავძღე კარგათ საჭმე-ლითა და სასმელითა და მერმე წავიდე ვილოცო, მაშა სადამე ლოცვასა და მარხვასა აქვს დაუწყვეტელი კავშირი. აჰა ძმანო რისთვის დააწესა წმინდამან ეკკლესიამან რათა წირვაზე და ცისკარზე შენ მიხვიდოდე უსმოთ; აჰა რის-თვის ჰქონდათ მამათა ჩვენთა და ახლაცა აქვთ ღვთის მოყვარეთა კაცთა პატიოსანი იგი ჩვეულება რომელ არ იკადრებენ წირვამდი ჭამასა და სმასა, არამედ უსმოდ და მარხვით მისრულნი წირვაზედ ადიდებენ სებისკვერსა, აჰა მიზეზი რომლისათვისცა წმინდანი მამანი ესრეთ ადა-მაღლებენ მარხვასა და იტყვიან რომელ მარხვითა და ლო-ცვითა სული კაცისა იქნება ფეროვანი

მესამედ, წმინდამან ეკკლესიამან ყოველი დააწესა და განაგო იმ განზრახვით, რათა გაგზარდოს შენ სულიე-რად, განამტკიცოს და გაამძლიეროს შენი ხასიათი, იცოდე, ძმაო, უკეთუ შენ კეთილად ასრულებ ყოველთა ეკკლესი-ურთა წესდებულებათა, უკეთუ ისე ცხოვრობ როგორც გამცნებს შენ ეკკლესია, შენ გამოხვალ კაცი მქონი მა-გარისა და შეურყეველისა ხასიათისა ვინ არ იცის რა ბედნიერება არის კაცისათვის, როდესაცა მას აქვს მტკიცე და შეურყეველი ხასიათი! ვინ არ იცის, რომელ უმრავლესი ნაწილი ჩვენის უბედურებისა წარმომდინარეობს ჩვენის

ხასიათის სისუსტის და დაუდგრომლობისაგან; ვინ არ იცის რავდენი კაცი გაუბედურდა მხოლოდ მით, რომელ სიყრმიდგანვე არ მიეჩვია ზომიერებასა, საჭმელში, სასმელში, ჩაცმაში, ქონების ხმარებაში. გარნა წმინდა ეკკლესია სწორეთ იმას ცდილობს, ისთე განაგებს ყოველსა, რომ განამტკიცოს ხასიათი ჩუენი და გვასწავლოს ზომიერება, და მიგვაჩვიოს წესიერსა კანონიერსა ცხოვრებასა.

რა არის რომ ასრე ადრე დარეკესო ცისკარი იტყჳს ზოგი ერთი კაცი; განა არ შეიძლება რომ გათენებიდგან ილოცოს კაცმაო

ადრე მისთჳს დააწყეს ძმაო წმინდამან ეკკლესიამან ცისკარი, რათა მიგაჩვიოს შენ ადრე ადგომასა, რათა არა დაამძიმოს სული შენი ძილმან, არამედ იყო შენ ფრთხილი და მღვიძარე სულითა და ხორცითა შენითა, წინაპართა ჩუენთა ჰქონდათ კეთილი ჩუეულება: ადრე დაიძინებდენ და ადრე ადგებოდენ ძილისაგან; ხოლო აწინდელნი ჭაბუკნი მთელ ღამეს გაათენებენ დაუძინებლად და მერმეთ შუა დღემდინ აღარ ადგებიან ძილისაგან, ვგონებ რომ წინაპარნი ჩუენნი იქცეოდენ ამაში გონიერად და ჩუენ უჭკუოდ, ამისთჳსცა იყვნენ იგინი მხნენი და მთელნი, ამისთჳსცა თჳთქმის არ იცოდნენ მათ რაჲ არს სნეულება; გარნა აწინდელი მათი შთამომავლობანი ყოველთჳს სჩივიან სნეულებასა, არიან სუსტნი ხორცითაც და სულითაცა

მე არ შემიძლია მარხვის შენახვა; მე მაწყინა მარხვის საჭმელმა .. სჩანს ძმაო ჩემო რომ შენ ხარ სუსტი, უსასო, სჩანს რომ არა შენ ხარ უფალი მუცლისა შენისა,

არამედ მუცელი არის უფალი შენი. წმინდამან ეკკლესიამან მისთჳს დააწესა მარხვა, მისთჳს აღგიკრძალავს შენ ხორცის ჭამასა, რათა არ დაგიმორჩილოს შენ ხორცმან შენმან, არ დაგაბრკოლოს შენ მუცელმან შენმან ლოცვაში და ღჳთის ვედრებაში. გარნა ამასაც გეტყვი, მარხვის საჭმელი, ხორცის საჭმლისაგან განშორება არათუ არ ავნებს სიმრთელესა კაცისასა არამედ არგებს. ეს ცხადათ დაამტკიცა გამოცდილებამან, ჰკითხე უკეთუ გსურს სწავლულსა და გამოცდილსა ექიმსა, და იგი გეტყვის შენ რომელ ოდეს კაცი მარადის სჭამს ხორცს, მას არა აქჳს გრძელი სიცოცხლე, გარნა რა საჭირო არის კითხჳა ექიმისა, ვგონებ გაგიგონია შენცა, რომელ წმინდანი მეუდაბნოენი და მარტოთ მყოფელნი იზრდებოდნენ მარადის მხალითა, პურითა და წყლითა, არა სჭამდენ არაოდეს ხორცს გარნა იყჳნენ მრთელნი და ცხოვრობდენ დიდხანს

კჳალად გეტყვი ძმაო ჩემო, წმინდამან ეკკლესიამან ყოველივე დააწესა ბრძნად და შენდა სასარგებლოდ, იგი გასწავლის შენ, რათა ხორცი შენი იყოს მსახური სულისა და არა სული ხორცისა, მას სურს რათა გქონდეს შენ ხასიათი მტკიცე და მაგარი, რათა მიეჩვიო შენ ზომიერებასა ყოველთა შინა შენთა საქმეთა, დააწესე ცხოვრება შენი იმ წესით, როგორც მოითხოვს ეკკლესია და მაშინ შეიტყობ უეჭველად რა ბრძენი და ღრმა აზრი ჰქონდა წმინდასა ეკლესიასა, როდესაც მან შემოიღო ჩჳეულებანი და წესდებულებანი, რომელთა იგი შენ გასწავლის.

გარნა წირვა და ლოცვა, ვითარცა თქმულ არს დღე-

ნდელსავე სახარებასა შინა ვიწყოთ ცოდვათა შენდობითა და მოტევებისა ურთიერთარს.

მომიტევეთ და შემინდეთ მე ძმანო ყოველი, რაჲც გცოდე თქუენ სიტყუით და საქმით.

შეგინდოს და მოგიტეოს თქუენ ყოველთა ღმერთმან ბრალნი და შეცოდებანი თქუენნი. ამინ.

# ხ ა ბ ა რ დ ა.

---

ფული დავსტყუე, დღეს მე ჩემს ქმარსა,
დღესვე ვიყიდი მე ხაბარდასა,
იქვე ჩავიცუამ, შინ ისე წავალ,
ახალ-მოდურათ ჩემს ქმართან შავალ!
რა შამომხედავს, მრთლად გაოცდება,
ხაბარდის ნახუა მას იამება.

აი ვიყიდე, დიდი ხაბარდა,
იქვე ჩავიცვი აღარ დამზარდა!
და რა რიგიან ვერ მოვიკერვე,
იმავ დუქანში წუთს შავიფერხე!
შაგირდმა მითხრა: ახ! ქალბატონო,
აბა მე თავი რით მოგაწონო!
მაგ ხაბარდასა, მე გაგიმართავ,
გაგიწყობ რიგზე, ლამაზათ მოგრთავ!

მეც ვეღარ უთხარ იმას უარი,
ამასთანავე ესეც უთხარი:
არვის არ უთხრა, მამა გიცხონდა,
და ამდროს უცებ მე მამაგონდა:
რომ შემოვიდეს აქ ჩემი ქმარი,
რას მეტყვის აბა რა უთხრა ნეტა!
ჩემგანაც არის ის, გულ დამწვარი
მომკლავს უთუოთ თუ გამიმეტა.—

რა ამას ფიქრობს, მორთული ქალი,
ამდროს მას ქმარი, გამოესახ!
დაეცა უცებ, იქმნა ფერ მკრთალი.
რა რომ შეჰხედა და დაინახა —
—ამდრომდის შენ აქ რისთჳს დასდიხარ?
—აი! ვიყიდე, დიდი ხაზარდა!
აქვე ჩავიცვი აღარ დამზარდა,
და ამ შაგირდსა მე შევეხვეწე
ლამაზ გამიწყო, შენც გიამებს!
ამ დროს ეს იყო, აქ ჩემი შემწე
შენც გმართებს ვჰგონებ ამის მადლობას!
—ოჰ! რა გიხდება, მეტათ ჰშვენი,
კარგი რამ არის და თუ̂ალსაჩენი!
მითხარი სწორეთ ხაზარდა ჰქვიან?
სწორე სახელსა რას ეძახიან?
—ვიშ გენაცვა, როგორ არ იცი, კრონანა!
რაო! კრონანა?
კრონანა არ გამიგონია,
შენ საიდამრა მოგიგონია?
—არა! დამავიწყდა! კრინულა,
სწორეთ, სწორეთ კრინულა!
იცი სახელი მე ვინ მასწავლა?
აგერ იმ ჩუ̂ჭნმა გიჟუას რძალმა!
—კარგი ვინ შემოიღო აბა ეს მოდა,
ჩუ̂ჭნის ქჩუ̂ჭუანაში ვინ რა იცოდა?
—ვიშ გენაცვა, არ ურევიხარ შენ ქჩუ̂ჭუანაში?
სად გაიზარდე? უთუოთ მთაში!

მოდა მოვიდა ანგლულიდანა—(ანგლიიდამა).
და კიდევ ჭოო! ფრანცლუიდანა! (ფრანციიდამა).
—კარგი! საიდამაც მოვიდა, მოვიდა,
მაგისის ჩაცმით რა გამოვიდა?
საუდარში მაგით როგორ დასდგები,
და ჩვეულებრივ ხომ ვერ ჩასჯდები?
შენ რომ წინ იდგე თითქმის ერთს ადლზე
ზედ მოიკეცენ—შენს ხაბარდაზე!
ეჰ! რა გაეწყობა, წავიდეთ შინა,
საწყალმა ქმარმა ამოიქშინა!
და რა გააღეს სახლისა კარი,
ამ დროს დაუშჳა დიდი ავდარი!
კარები მეტად პატარა იყო,
ქმარს დაუყვირა: ჰი! შე ბრიყვო,
მორჩი მოიტა წერაქვი, ცული —
რა დაგემართა მოგიკჳდეს გული!
ჩამოანგრიე, მორჩი ეს კარი!
თორემ წამიღებს მე ნიაღვარი!
—მოიცა ცოტა რას ეშურები,
ხაბარდას ახლავ რახ ემდურები!
წავალ დურგალსა შავატყობინებ,
მოვა კარებსა გავაზომინებ!
იმ ანგარიშით დავიჭერ კარსა—
რაც სიგანე აქჳს შენს ხაბარდასა!
—ოჰ! ვეწვალები, ვერ გამიხსნია,
იმ წყეულს შაგირდს ეს რა უქნია?
ზონარი რა რიგ—მას გაუნასკვავ,

და საშინელად არ დაუხლათავ?
დანა მოიტა ჩქარა—გასჭერი,
ეს რა ვიყიდე, ნეტა რა ვქენი!
—მოიცა ცოტა, ძრიელ გიხდება,
აბა ავდარში რა წაგიხდება?
რათ არ იცოდი შე—უკეთურო,
დაბრმავებულო და უბედურო,
რომ მაგით არვინ არ გაოცდება,
და შენ გარებსა არ მოუხდება!
რა გაგება გაქჳს ახლის მოდისა,
ან რა გინახავს აბა როდისა?
ჰხედავ ლუკმა პურს, ძლივა ვშოულობ,
და თითო გროშსა ტანჯვით ვჰპოულობ?
რა რიგ ჟღივიან, ჰხედავ ყმაწვილებს?
რას ემართლები საცოდავს შჳლებს?
შემდეგ ამისა მე შენგან ველი —
ამ გვარ მოდაზე აიღო ჴელი!!—

დიმ. ბერიევი.

1863 წელსა.
ქ. ტფილისს.

## »ცისკრის» რედაქციისაგან.

—გაზეთს კავკაზთან მივიღევით ქართულს ენაზედ დაბეჭდილი «მოამბის» რედაქციისაგან განცხადება, შესახებ «მოამბის აღარ გამოცემაზე. რიგი იყო, როგორც ქართული, ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილიყო, და აქ გამოგზავნილიყო დასაბეჭდავათ, მაგრამ «მოამბის» რედაქციას არ უნებებია, უთუოთ უთაკილნია დიდის ქექა-ქუხილით დაიბადა ქვეყანაში და იმ წამსვე გაპენტა «ცისკარი», მიწასთან გავასწოროვო, ჩვენკი სრულებით ხმაც არ გაგვიცია, რადგანაც დარწმუნებულნი ვიყავით ის ქექა ქუხილი ქარი იყო და ქარივე წაიღებდა. ბოლოს საქმემ გამოაჩინა, როგორც თუ ახსოვთ მკითხველებს, მოამბის რედაქციამაცა თქჳა «ოჯთან საქმე გამოაჩენსო» მართლაცად და საქმემ გამოაჩინა, მოამბეს ტყვილათ შერჩა «ცისკარის» კიცხვა და ძრახვა. როგორც ადრე, ისე ახლა ჩვენ სრულებით მოამბეზედ არას ვიტყვით, თჳთან მკითხველებს უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ თუ გარეშე პირთაგან მივიღეთ სტატია რამ, ვერც იმათ მოვასხსენებთ უარს ახლა საჭიროდ ვრაცხთ ეს «მოამბის» განცხადება წავა-

გითხოთ ჩუენის «ცისკრის» მკითხველებსაც, როგორც წავაკითხეთ დაბადება —

«ზოგი ერთის მიზეზისა გამო «საქართველოს მოამბე» დრომდე ველარ გამოვა, ამისათვისაც უ უ. ხელის მომწერთ უცხადებთ, რომ თავიანთი ფული უკანვე მიიღონ. ვისაც ქალაქში მოუწერია ხელი ჩვენს ჟურნალზედა იმათ შეუძლიანთ ფული სრულიად მიიღონ უუ. ტერმიქელიანცის წიგნის მაღაზიიდამ, რომელიც უუ. არწრუნის ქარვასლაშია; ვისაც ქალაქ გარეთიდამ გამოუგზავნია, იმათაც თავიანთი ფული პირველსავე ფოშტით მიერთმევათ»

დიდადა ვწუხვართ რომ ასე უდროოთ გამოაკლდა «მოამბე» ამ ჩუენს დაუდგრომელს წუთი სოფელს.

რედ. გ.

---

—ვისაც წლევანდელი «ცისკრის» ფული არ შემოუტანია და ეგზავნებათგი, უმორჩილესად ვთხოვთ შემოიტანონ რედაქციაში, მოეხსენებათ იმ უფალთ: რომ ხარჯი გვაქვს ჟურნალების ბეჭდვაზედ. ამასთანავე ვისაც სურს დაბარება ჟურნალისა, შეუძლიან დაიბაროს იანვრითგან. რადგანც მომატებული წიგნები არის დაბეჭდილი.

რედ.

ს ი ა.

## 1864 წლის «ცისკარზედ» ხელის მომწერთ

ტფილისში.

**142**. ნიკოლაოზ ღოღობერიძე,
მიხეილ ზუბკიევი,
ეპისკოპოზი გერონტი.
ტფილისის კლუბი,

ქუთაისში.

ივანე მოსიძე,
სპირიდონ დვალი,
თ. გრიგოლ შარვაშიძე,

ოზურგეთში.

თ. დიმიტრი ნაკაშიძე.

თელავში

**150**. თ სოსიკო ერისთავი,
**153** თ დავით ჭავჭავაძე 3 წ.

## სხჳა და სხჳა ანბავი:

1,—ხაზარდა. (ლექსი.)დიმ. ბერიევისა.—2. რედაქციისაგან.
—3. სია **1864** წლის, რომელიც იბარებს «ცისკარს».

---

**1 8 6 4** წლის

## «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გა-უგზავნელად **6** მან. დამატებით. **7** მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, და-უმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უ-მორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1864. г. 24. Марта.